# ყველანი — შაბათობაზე!


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

1980 წელი შაბათი 19 აპრილი № 92 (17735) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლენინური იდეების ცხოველმყოფელი ძალა

საუკუნოდ ცოცხლობდეს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელი და საქმე! — ეს სიტყვები განსაკუთრებულ ჟღერადობას იძენს ახლახან გამოქვეყნებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებში. და ეს გასაგებიც არის, რამეთუ სწორედ ვ. ი. ლენინის სახელთან, მის მოძღვრებასთან არის დაკავშირებული ჩვენი საუკუნის უმნიშვნელოვანესი რევოლუციური ამბები.

ლენინიზმის წარუვალი მნიშვნელობა ის არის, — ხაზგასმულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის შესახებ, — რომ იგი ღრმად და ზუსტად გამოხატავს მუშათა კლასის, ყველა მშრომელის ინტერესებს, მსოფლიო სოციალური პროგრესის მოთხოვნილებებს, შესაძლებლობას გვაძლევს სწორი პასუხი გავცეთ თანამედროვეობის საჭირბოროტო, ცხოვრებისეულ საკითხებს, გვასწავლის მომწიფებული პრობლემების გაბედულ, შემოქმედებით გადაჭრას, გვაიარაღებს საზოგადოებრივი განვითარების პერსპექტივების მეცნიერული გაგებით. ლენინის უმდიდრესი იდეური მემკვიდრეობა, მისი მოძღვრების რევოლუციურ-კრიტიკული სულისკვეთება, თანამიმდევრულობა და სიმტკიცე ოპორტუნისტული დამახინჯებებისაგან მარქსიზმის ძირეული პრინციპების დაცვაში, მთელი მისი სიცოცხლე რევოლუციური აზროვნებისა და რევოლუციური მოქმედების უშრეტი წყაროა თანამედროვე საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის.

მართლაც და, არ არის არაფერი განსაკუთრებული იმაში, რომ იდეურ მემკვიდრეობას ვლადიმერ ილიას ძე ლენინისას, რომლის დაბადების 110-ე წლისთავს პროგრესული კაცობრიობა 22 აპრილს აღნიშნავს, ჩვენი პლანეტის ადამიანები ეკიდებიან თავიანთი პოლიტიკური მრწამსის შესაბამისად. მაგრამ ერთში როგორც სოციალიზმის მეგობრები, ისე მისი მტრები ერთსულოვანნი არიან: ლენინი ის დიდი პოლიტიკური მოღვაწეა, რომლის იდეებმა და საქმეებმა გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ჩვენი საუკუნის მსოფლიო პოლიტიკური რუკის ძირფესვიან შეცვლაზე. ვ. ი. ლენინი თავისი რევოლუციური მოღვაწეობის პირველი დღეებიდანვე კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მოძღვრებისა და საქმეების ერთგული და თანამიმდევარი გამგრძელებელი იყო. მან ახალ ისტორიულ პირობებთან შეფარდებით განავითარა და ახალი მნიშვნელოვანი დებულებებით გაამდიდრა მარქსიზმის ყველა შემადგენელი ნაწილი — ფილოსოფია, პოლიტიკური ეკონომია, მეცნიერული კომუნიზმი.

ოქტომბრის რევოლუციის გამოცდილებამ, რომლის მნიშვნელობა გასცდა რუსეთის ფარგლებს, ლენინს საშუალება მისცა ყოველმხრივ განევითარებინა და კონკრეტული გაეხადა მარქსის მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, რომელიც წარმოადგენს ძირითად იარაღს ახლის, სოციალისტური საზოგადოების აღმშენებლად.

სოციალისტური განვითარების გზას პირველნი, ჩვენ, საბჭოთა ადამიანები დავადექით. ამიტომაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ლენინის მოახლოებულ იუბილეს. ლენინი და მისი იდეები მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის, ყველა საბჭოთა ადამიანისათვის ის სანდო კომპასია, რომელიც უშეცდომოდ გვიჩვენებს სწორ მიმართულებას ისტორიული შემოქმედების გზაზე.

და მართლაც, ის გიგანტური ძვრები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ექვს ათეულზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში მოხდა, უშუალოდ არის დაკავშირებული დიდი ბელადის იდეების განხორციელებასთან, რასაც უშუალოდ ხელმძღვანელობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მისი პოლიტბიურო გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლის იუბილე — ეს არის განვლილი გზის სახელოვანი ეტაპი, წინსვლის ახალი საფეხური. ჩვენი ხალხი წარმატებით შეუდგა მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა შესრულებას. და ეს შრომითი მეტოქეობა ტრადიციისამებრ წელსაც გაიშალა ლენინური შრომითი ვახტის სიმბოლიკით. საქართველოს სახელოვანმა მუშათა კლასმა, ჩვენმა კოლმეურნე გლეხობამ თავიანთი მარჯვენით არაერთი საუკეთესო ფურცელი ჩაწერეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების მეათე ხუთწლედის გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის მატიანეში. სოციალისტური შეჯიბრების პროცესში იბადებოდა შემოქმედებითი ინიციატივის ახალი ფორმები, ჩვენი ადამიანები ავლენდნენ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების არაჩვეულებრივ ნიმუშებს.

აი ასეთმა გარჯამ თავისი შედეგი გამოიღო: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით ამ დღეებში ლენინური საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ გაერთიანებათა კოლექტივები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, რომლებმაც ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის პირნათლად შეასრულეს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

მაინც დღევანდელ დღეს ხვდა წილად ოქროს ასოებით ჩაწეროს 1980 წლის მატიანეში ქართველი ადამიანის საგმირო საქმენი. ესეც ხომ ვ. ი. ლენინის სახელთან არის დაკავშირებული! ამ დღისათვის საყოველთაო მზადება იყო გამოცხადებული. დღეს „წითელ შაბათობაზე“ ანუ „ლენინურ შაბათობაზე“, როგორც მას ხალხი უწოდებს, მარტო საქართველოში გამოვა ორ მილიონ-ნახევარი მშრომელი. აქედან მილიონზე მეტი უშუალოდ თავის სამუშაო ადგილზე იქნება დასაქმებული. წინასწარი ვარაუდით, გამოშვებული იქნება 18 მილიონ 500 ათასი მანეთის სხვადასხვა სახეობის სამრეწველო პროდუქცია, ხოლო 2 მილიონ 800 ათასი მანეთი ხუთწლედის ფონდში ჩაირიცხება. ასეთი გრანდიოზული მასშტაბით ინდუსტრიული საქართველოს მშრომელებს ჯერ არც ერთ შაბათობაში არ მიუღიათ მონაწილეობა და, რაც მისასალმებელია, ლენინის თქმისა არ იყოს, ამ „დიადი თაოსნობის“ მონაწილენი სულ უფრო შემოქმედებითად ცდილობენ საუკეთესო შედეგებითა და მაღალნაყოფიერი გარჯით აღნიშნონ ეს შრომის დღესასწაული. ბევრი სამრეწველო გაერთიანების, ქარხნის, ფაბრიკის, სამშენებლო ორგანიზაციების კოლექტივები დღევანდელ დღეს შეასრულებენ მეათე ხუთწლედის 4 თვის დავალებას, ხოლო ათასობით ბრიგადა და ცალკეული შრომის დამკვრელნი — პირად ხუთწლიან გეგმებს.

დღეს დიდებულად ჟღერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდების სიტყვები:

— საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის!

— კომუნისტებო! იყავით მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ავანგარდში!

გზა ამისათვის — ეს არის სახელოვანი იუბილესადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაგრძელება, ისეთი პატრიოტული მოძრაობის საყოველთაო გავრცელება, როგორიც არის „ვიმუშაოთ, რომ არ გვყავდეს არც ერთი ჩამორჩენილი, ეფექტიანად, საუკეთესო ხარისხით“, განუხრელად ვნერგავდეთ შჩეკინოელთა და იპატოვოელთა შრომის ორგანიზაციის მეთოდებს, ბრიგადული იჯარით მუშაობის მეთოდებს, პროდუქციის ხარისხის კომპლექსური მართვის სისტემებს.

საჭიროა ფართოდ გავავრცელოთ შრომის მაღალი ხარისხისა და ეფექტიანობისათვის ბრძოლის, სამუშაო დროისა და მატერიალური რესურსების ყაირათიანი ხარჯვის მოწინავე გამოცდილება.

საბჭოთა ხალხი ყოველთვის ოპტიმისტურად უყურებს თავის მომავალს, ვინაიდან მას გზას უნათებს მარქსიზმ-ლენინიზმი — მარად ცოცხალი რევოლუციური ინტერნაციონალური მოძღვრება!

— საბჭოთა კავშირის მოქალაქენო! ისწავლეთ იცხოვროთ, იმუშაოთ და იბრძოლოთ ლენინურად, კომუნისტურად!

ეს იყო, არის და იქნება მთელი ჩვენი ცხოვრების, ჩვენი მოქმედების, ჩვენი ბრძოლის დევიზი!



ჩვენ მივაღწევთ კომუნისტური შრომის გამარჯვებას!

ვ. ი. ლენინი

## თავისუფალი შრომის ზეიმი

შრომის დიდებული ზეიმია დღეს საბჭოთა საქართველოში. რესპუბლიკის საწარმოო გაერთიანებების, საწარმოების, სატრანსპორტო და სამშენებლო ორგანიზაციების კოლექტივებმა, კოლმეურნეობებმა, სასწავლო დაწესებულებებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მოსკოვის მოწინავე საწარმოთა ინიციატივას 1980 წლის 19 აპრილს ლენინური შაბათობის მოწყობის შესახებ და ჩინებულადაც მოემზადნენ ამისათვის: უკვე დღეისათვის საწარმოო გაერთიანებების, ფაბრიკების, ქარხნების, კომბინატების, სამშენებლო ტრესტების ათიათასობით მუშამ უპატაკა სამშობლოს ოთხი თვის გეგმების შესრულება.

შაბათობისათვის მზადების პერიოდში რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებსა და სხვა ორგანიზაციებში მრავალი ინიციატივა იშვა, რომლებიც მთლიანად გაითვალისწინეს შრომის დღესასწაულის მომწყობმა საქალაქო და რაიონულმა შტაბებმა.

**თბილისში** ლენინურ შაბათობაში მონაწილეობას მიიღებს 600 ათასზე მეტი კაცი, რომელთაგან 195 ათასი დასაქმებული იქნება წარმოების სფეროში. 128 ათასი ადამიანი იშრომებს საწარმოო გაერთიანებებში, ქარხნებში, ფაბრიკებსა და კომბინატებში მატერიალური დოვლათის შესაქმნელად. კომუნისტური შაბათობის დღეს ჩვენს დედაქალაქში 8,5 მილიონი მანეთის პროდუქცია დამზადდება და 1.252 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაო შესრულდება. ტრანსპორტზე დაიტვირთება 107 ათასი ტონა და გადმოიტვირთება 103 ათას ტონაზე მეტი საქონელი.

**აფხაზეთის** ავტონომიურ რესპუბლიკაში „წითელი შაბათობისათვის“ მზადების პერიოდში სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მომუშავე 217 ბრიგადის, საამქროს და სხვა ორგანიზაციის კოლექტივებმა შეასრულეს ხუთწლიანი დავალებები და აძლიერებენ მუშაობის ტემპს. დღეს აქ სამრეწველო საწარმოებში პროდუქციის დიდი ნაწილი დაზოგილი ნედლეულით, მასალებით, სათბობითა და ენერგეტიკული რესურსებით დამზადდება. ნავარაუდევია დამზადდეს ათიათასობით მანეთის პროდუქცია და შესრულდეს 254 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. ტრანსპორტზე დაიტვირთება 15.935 ტონა და გადმოიტვირთება 12.723 ტონაზე მეტი საქონელი.

**აჭარაში** საწარმოებში, სატრანსპორტო და სამშენებლო ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებსა და სასწავლებლებში შექმნილია შტაბები, რომლებსაც ხელთ აქვთ კარგად გააზრებული სამუშაო გეგმები. გეგმებში მითითებულია ის რეზერვები, რომლებიც დაეხმარება მშრომელებს იშრომონ 19 აპრილს მაღალნაყოფიერად. ავტონომიურ რესპუბლიკაში „წითელ შაბათობაში“ სულ მონაწილეობას მიიღებს 183 ათასზე მეტი კაცი, ხოლო თვით ბათუმში — 70 ათასი მშრომელი. ამ დღეს აქ 583.800 მანეთის პროდუქციას გამოუშვებენ და 70 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს შეასრულებენ.

**ცხინვალის** ყველა სამრეწველო საწარმოს, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციის კოლექტივები მიიღებენ მონაწილეობას შრომის დღესასწაულში. უშუალოდ მატერიალური დოვლათის შესაქმნელად იშრომებს 2.247 კაცი და 191 ათასი მანეთის პროდუქციას დაამზადებს. ხუთწლედის ფონდში 21,5 ათასი მანეთი გადაირიცხება. საწარმოთა უმრავლესობა დღეს დაზოგილი მასალებით, ნედლეულით, სათბობით და ელექტროენერგიით იმუშავებს.

**ქუთაისის** მინის ტარის ქარხნის კოლექტივი ორგანიზებულად მიიღებს დღეს მონაწილეობას შრომის დღესასწაულში. 6 ათასზე მეტი მუშა-მოსამსახურე და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი 5 ათას მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქციას დაამზადებს, აქედან 1.100 მანეთი ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება. დიდი ყურადღება დაეთმობა კეთილმოწყობის სამუშაოებს, სპორტული მოედნების მოწესრიგებას.

**რუსთავის** მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადეთა ბრიგადის კოლექტივმა, რომელსაც გოდერძი ფანჩვიძე ხელმძღვანელობს, გადაწყვიტა კომუნისტური შაბათობის დღეს მხოლოდ დაზოგილი სათბობით იმუშაოს და ჩქაროსნული ნადნობები გამოუშვას. ამ კოლექტივს დაუყოვნებლივ დაუჭირეს მხარი ვ. მეტრეველისა და უ. ივანიაშვილის მეფოლადეთა ბრიგადებმა. მეტალურგებს არც მეცემენტეები დაუდებენ ტოლს. 500 ტონა ზეგეგმითი ცემენტი მომხმარებელს — ასეთია საწარმოს კოლექტივის გადაწყვეტილება.

**დუშეთის** რაიონის 13.000 ათასი მშრომელი გამოვა სამუშაოდ დღეს. აღსანიშნავია, რომ მათ მიერ გამომუშავებული თანხა მთლიანად გადაირიცხება ხუთწლედის ფონდში. ხალიჩების საქსოვი საწარმოს ვეტერანებმა გადაწყვიტეს მიაღწიონ შრომის უმაღლეს ნაყოფიერებას და ახალბედა მუშებს ოსტატობის დახვეწაში დაეხმარონ. ამ კოლექტივიდან შრომის დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებს 200-მდე კაცი, „ჟინვალჰესის“ მშენებლობაზე კი 500-ზე მეტი ადამიანი იშრომებს.

**გურჯაანის** რაიონში კომუნისტურ შაბათობაში მონაწილეობას მიიღებს 38.000 კაცი, მათ შორის კოლმეურნეობებიდან, საბჭოთა მეურნეობებიდან და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებიდან 2.600 მშრომელი. მშენებლობაზე იშრომებს 1.400 კაცი. დღეს მარტო სამრეწველო და სამშენებლო ორგანიზაციები გამოიმუშავებენ 200 ათას მანეთს და ხუთწლედის ფონდში 25.500 მანეთს გადარიცხავენ.

**ახალქალაქის** რაიონის სამრეწველო და ავტოსატრანსპორტო საწარმოების, ყველა კოლმეურნეობისა თუ საბჭოთა მეურნეობის, სამშენებლო ორგანიზაციების და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების კოლექტივები ერთსულოვნად მიიღებენ მონაწილეობას ლენინურ „წითელ შაბათობაში“.

სულ სამუშაოზე გამოვა ოცდათორმეტი ათასი კაცი. აქედან ნახევარი გაიგზავნება წარმოებაში — პროდუქციის გამოშვებაზე, ტვირთის გადაზიდვაზე, მშენებლობაზე, საგაზაფხულო ხვნა-თესვაზე, მეცხოველეობის ფერმებში, დანარჩენები კი რაიონის ცენტრისა და სოფლების კეთილმოწყობა-გამწვანებაზე იმუშავებენ.

წინასწარი ვარაუდით, დაახლოებით 24 ათასი მანეთის სამუშაოს შეასრულებენ, ხოლო ხუთწლედის ფონდში 9.000 მანეთს გადარიცხავენ.

დიდება კომუნისტური შრომის ავანგარდში მიმავალ წინდაუხედავ (?) — 

დიდება კომუნისტური შრომის ავანგარდში მიმავალ წითელდროშოვან კოლექტივებს, ხუთწლედის დამკვრელებს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.



ჯ. ლომაძის ფოტოპლაკატი.

## ლენინური მოძღვრების ნათელი

**რევოლუციის** ბელადის, კომუნისტური პარტიის და მსოფლიოს პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის მრავალმხრივ თეორიულ და პრაქტიკულ მოღვაწეობას მიეძღვნა გაერთიანებული სამეცნიერო სესია, რომელიც 18 აპრილს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში. სესია მოაწყვეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალმა და ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალმა.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის მეცნიერები, პარტიული, საბჭოთა მუშაკები, იდეოლოგიური აქტივი.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ვ. ი. ქარუმიძემ.

მოხსენებები „ლენინიზმი უმდიდრესი იდეური მემკვიდრეობაა“, „ლენინური ეტაპი მარქსისტული ფილოსოფიის განვითარებაში“, „კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ლენინური თეორია“, „ვ. ი. ლენინი კულტურის ფილოსოფიური პრობლემების შესახებ“, „ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპები“ და „ვ. ი. ლენინი — მშრომელთა ბელადი, ამხანაგი და მეგობარი“ გააკეთეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ვ. ნ. მერკვილაძემ, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ა. გ. ნუცუბიძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნ. ზ. ჭავჭავაძემ, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ე. გვერდწითელმა და ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორმა ფ. მ. მახარაძემ.

აღინიშნა, რომ ლენინის მოძღვრება აცისკროვნებს მთელი პროგრესული კაცობრიობის ნათელი მომავლის გზას. ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს ჩვენ ვხვდებით ურღვევი იდეურ-პოლიტიკური და სოციალური დარაზმულობის, საბჭოთა კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ძმური ერთიანობის ვითარებაში.

ლენინის ანდერძის ერთგული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია უდიდეს პოლიტიკურ, თეორიულ, ორგანიზატორულ და აღმზრდელობით მუშაობას ეწევა. ჩვენს ხალხს უსაზღვროდ სწამს მშობლიური პარტიისა, ერთსულოვნად უჭერს მხარს მის ბრძნულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომელსაც ახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი და მისი პოლიტბიურო ლენინის დიადი საქმის ერთგული გამგრძელებლის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. კ. ხარაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ვ. გურგენიძე. (საქინფორმი).

## მეცნიერება პროგრესის სამსახურში

**საქართველოს** მეცნიერებმა, მეცნიერმა მუშაკებმა სადღესასწაულოდ აღნიშნეს საბჭოთა მეცნიერების დღე. 18 აპრილს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც ამ ღირსსახსოვარ დღეს მიეძღვნა.

კრება გახსნა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. ნ. მენთეშაშვილმა.

საპატიო პრეზიდიუმში დიდი აღმავლობით აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

— მეცნიერების დღის დღესასწაულობა მეცნიერების განვითარებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის დაუღალავი ზრუნვის კიდევ ერთი მკაფიო გამოვლინებაა, — თქვა კრებაზე გამოსვლისას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ე. კ. ხარაძემ. — მეცნიერთა წლევანდელი დღესასწაული დიდი ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს ეძღვნება. ვ. ი. ლენინის მთელი მოღვაწეობა განუყოფელია მეცნიერებისაგან. მისმა უდიდესმა ერუდიციამ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში, ბუნებისმეტყველების განვითარების ტენდენციების ღრმა გაგებამ, მიმდინარე ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ღრმა მეცნიერულმა ანალიზმა დაასაბუთა ბოლშევიკური პარტიის სტრატეგია და ტაქტიკა, გამოატანინა ლენინს დასკვნა რუსეთში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების გარდუვალობის შესახებ.

საბჭოთა საქართველოში მეცნიერების განვითარებას და აყვავებას თითქმის სამოცი წლის ისტორია აქვს, — თქვა შემდეგ ე. კ. ხარაძემ. — რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიაში შექმნილია მათემატიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, გეოლოგიური, ისტორიული, ფილოლოგიური და სხვა მეცნიერული სკოლები, რომლებმაც ფუნდამენტური კვლევით სახელი მოუხვეჭეს ჩვენს აკადემიას როგორც ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს სამეცნიერო ცენტრს.

დასასრულ ე. კ. ხარაძემ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სახელით შეკრებილთ დღესასწაული მიულოცა და უსურვა წარმატებანი მეცნიერულ მოღვაწეობაში.

კრებას დაესწრნენ ამხანაგები გ. ნ. ენუქიძე, ო. ე. ჩერქეზია, ჟ. კ. შარტავა, ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სრულიად საკავშირო სამეცნიერო კონფერენციის — „ვ. ი. ლენინი სოციალისტური კულტურისა და იდეოლოგიური ბრძოლის შესახებ“ — მონაწილენი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის მ. ბ. მიტინის მეთაურობით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ვ. ი. ქარუმიძე, ე. ა. სეხნიაშვილი. (საქინფორმი).

## საიუბილეო ჯილდო — ღირსეულთ!

**საქართველოს** კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით ლენინური საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ იმ გაერთიანებების, საწარმოების, მშენებლობების, სატრანსპორტო ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების კოლექტივები, რომლებმაც ხუთწლიანი დავალება ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის შეასრულეს. დაჯილდოებულთა შორის არიან:

„საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო „თბომშენი“, სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო „ქმონტაჟთერმონაწარმი“, სამმართველო „მრეწველვენტილაცია“; საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის“ რაჭის სამთო-ქიმიური ქარხანა; საწარმოო გაერთიანება „საქართველოს ჩაის“ ცხაკაიას მეთაური ჩაის ფაბრიკა; საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს თბილისის მეთაური კონიაკის ქარხანა; ფოთის მეთევზეობის კოლმეურნეობა „კოლხეთი“, ამიერკავკასიის რკინიგზის ქუთაისის სალოკომოტივო დეპო, სამტრედიის სალიანდაგო სადისტანციო სამსახური, № 25 სალიანდაგო სამანქანო სადგური, სამტრედიის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანცია; სამტრედიის სამოქალაქო ნაგებობათა დისტანცია, მთავარი მატერიალური საწყობი; „გზამშენტრესტის“ № 1 სამშენებლო სამმართველო, № 381 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებელი, თბილისის სავაგონო დეპო; ხაშურის სალიანდაგო სადისტანციო სამსახური; საწარმოო გაერთიანება „საქნავთობი“; ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის ენერგომომარაგების უბანი; სადგურები: აბაშა, ბროწეულა, კოპიტნარი, ვალე, ქავთისხევი, მუხრანი, შორაპანი, გრაკალი, წინანდალი, სადახლო; აბაშის რაიონის სოფელ ნორიოს სტალინის სახელობის და სოფელ ტყვირის კოლმეურნეობები, ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა და სახელმწიფო სანერგე მეურნეობა; მახარაძის რაიონის ლაითურის, ნარუჯის, ნასაკირალის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობები და ურეკის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობა, სოფლების მელიქიძეურის სტალინის სახელობის, ნატანების, შრომის, გურიანთის, ძიმითის, ლიხაურის, შემოქმედის კოლმეურნეობები, ბოგდანოვკის რაიონის სოფელ არაგვიალის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობა; გარდაბნის რაიონის სართიჭალის მეცხოველეობის კომპლექსი, გარდაბნის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა და ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკა; ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავის სტალინის სახელობის და სოფელ ვანზომლეთის კოლმეურნეობები; ცხაკაიას რაიონის სოფელ უშაფათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა და ჯიქეთის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობა; ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ნაფიჩხოვოს კ. მარქსის სახელობის, ლესიჭინის კიროვის სახელობის, ხაბუმის ლენინისა და ორჯონიკიძის სახელობის, კოლმეურნეობები, მარნეულის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „გამარჯვება“, მრავალწლოვანი ბალახის ფესვნილის დამამზადებელი საბჭოთა მეურნეობა, არაფლის საბჭოთა მეურნეობა, სადახლოს მეთამბაქოეობის საბჭოთა მეურნეობა, მარნეულის პურის მიმღები საწარმო; ბოლნისის რაიონის ფახრალოს საბჭოთა მეურნეობა, ქოჩულოს მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობა, თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკა; მცხეთის მეფრინველეობის რეპროდუქტორი; სამტრედიის რაიონის სოფელ დიდი ჯიხაიშის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი“, ლენინის სახელობის კოლმეურნეობა; ზუგდიდის რაიონის ინგირის, ნარაზენის, ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობები, ზედა ეწრის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმი, აბასთუმნის ტუნგის საბჭოთა მეურნეობა, კახათის მარქსის სახელობის, ახალსოფლის ლენინის სახელობის, ოქტომბრის, ინგირის სტალინის სახელობის, ახალკახათის კოლმეურნეობები, რუხის კოლმეურნეობა „საქართველო“; ვანის(?) რაიონის დიდი ჭყონის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობა; ხობის რაიონის პატარა ფოთის, ქვალონის, ახალსოფლის მელიორაციის საბჭოთა მეურნეობები, კოლხეთის და განთიადის სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობები, ხიბულის და ნოჯიხევის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობები, ხეთის და ფოთის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობები, საჯიჯაოს ლენინის და ხეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობები; წალენჯიხის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა; საჩხერის რაიონის სოფელ სავანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა; დმანისის რაიონის გომარეთის მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობა, ვარდისუბნის საბჭოთა მეურნეობა; გორის რაიონის სოფელ ტყვიავის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობა; ახალქალაქის რაიონის სოფელ ბურნაშეთის კლ. ცეტკინის სახელობის კოლმეურნეობა, სოფელ ხანდოს კოლმეურნეობა; თელავის რაიონის სოფელ სანიორის კოლმეურნეობა, ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობა; ახალციხის რაიონის სოფელ მუსხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა; ზესტაფონის რაიონის სოფელ ფუთის წერეთლის სახელობის კოლმეურნეობა; მაიაკოვსკის რაიონის სოფელ მაიაკოვსკის კოლმეურნეობა; თეთრი წყაროს ექსპერიმენტული საკონსერვო ქარხანა; თეთრი წყაროს ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი; თეთრი წყაროს გაზის კანტორა.



# მეცხრე ცა

ვ. ი. ლენინის სახელობისა

# ფიქრები ლენინის პორტრეტთან

ხუტა ბერულავა

დრო ბავშვობისა გამინათა შენმა სახელმა,
დედა სამშობლომ აკვნის თავთან რომ დამახვედრა.
სახელმა შენმა განმარიდა ცხოვრების ნისლი
და გზა გამიხსნა, გზა მარადი ბრძოლის და წინსვლის.
სახელმა შენმა შთამაგონა ჰანგი მრავალი,
რომ შემაყვარეს წინაპარიც, შთამომავალიც.
ამ სახელშივე ბედი ჩემი აღმოვაჩინე
და მყუდროებას ცეცხლოვანი გზები ვარჩიე.
ასე გაგვაცნეს შენი სიბრძნე მე და ჩემს ტოლებს,
ასე გაგვზარდეს, გაგვიტაცეს და აგვათრთოლეს!
ასე მაწრთობდა მამაჩემიც, შენი ერთგული,
წმინდა დროშასთან ფიცითა და გულით შეკრული.
როცა ულხინდა, სულ ახსოვდა შენი სახელი,
როცა უჭირდა, არ აკრთობდა მძიმე ნაღველი;
დიდი სიცოცხლის დაუცხრომელ დასასრულამდი
ვერ მოაშორეს მას მკერდიდან შენი სურათი!
...მამათა კვალი არ ნაშლილა, არც წარიშლება,
რაგინდ იქროლონ გრიგალებმა და ქარიშხლებმა.
ჩვენც, როგორც მამებს, შენი სახე გვინთია გულში,
არცა შვილები ვართ ნაკლები ამ სიყვარულში.
ადამიანებს დღენიადაგ ალანთებს რწმენით
უკვდავი საქმე და უკვდავი სახელი შენი!

# ჩაქველთა სიმდიდრე

**მწვანე** კონცხიდან რომ გადაიხედოთ, თვალწინ გადაიშლება ჩაის, ციტრუსის, ტუნგისა და ბამბუკის თვალწარმტაცი პლანტაციები. ეს ვ. ი. ლენინის სახელობის ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაა. ეს ზღვისპირა კუთხე იმდენად თვალწარმტაცია, რომ მის სანახავად ქვეყნის შორეული კუთხეებიდანაც კი ჩამოდიან, იღებენ კინოსურათებს, მხატვრებს ტილოზე გადააქვთ მისი განუმეორებელი სილამაზე.

მეურნეობის ფართობი ათას ჰექტარზეა გადაჭიმული. თითოეული ნაკვეთი პატარა ხევებით, გორაკებით, კრიპტომერიის ქარსაფარი ზოლით არის გამოყოფილი. ისტორიული წყაროები გადმოგვცემს, რომ ჩაქვის მიდამოებმა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მიიქცია ყურადღება. იგი ჩაის პლანტაციებისათვის მეტად ნოყიერ ნიადაგად იქნა აღიარებული.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე დღის წესრიგში დადგა ჩაის პლანტაციების გაშენება. ასე გახდა ჩაქვი საქართველოში ერთ-ერთი პირველი საბჭოთა მეურნეობა.

ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოსული ასობით ადამიანი, მძიმე პირობების მიუხედავად, გაბედულად უტევდა ეკალ-ბარდით და-

...

# ქალის უშრეტი წყარო

# განახლებულ მთის სოფელში





**ზღვისაკენ** ციცაბოდ დაშვებულ ამწვანებული მთების ფერდობებზე გადაშლილა ხელვაჩაურის რაიონის პატარა აჭარული სოფლის ერგეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის სავარგულები. სოფლის ცენტრს ამშვენებს ვ. ი. ლენინის ძეგლი, რომელიც აქ ნახევარი საუკუნის წინათ დაიდგა კოლმეურნეთა სახსრებით.

ჩამოყალიბებისა და განვითარების სახელოვანი გზა განვლო კოლმეურნეობამ საბჭოთა ხელისუფლების წლებში. სოფლის ძველი მკვიდრნი იგონებენ, როგორ გაერთიანდა 1928 წელს გლეხთა რამდენიმე ღარიბი ოჯახი კოლექტიურ მეურნეობაში.

დღეს ერგეს ვეღარ იცნობთ. ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები, მეცხოველეობის ფერმები კოლმეურნეობას ყოველწლიურად ნახევარ მილიონზე მეტ შემოსავალს აძლევენ.

მარტო შარშან კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 921 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — გეგმაზე ერთნახევარჯერ მეტი, 654 ტონა მანდარინი, ათობით ტონა ზეგეგმითი რძე და ხორცი.

ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში 620 კომლია. თითოეულს აქვს ტელევიზორი, რადიომიმღები, ტელეფონი. სოფელში აშენდა საბავშვო ბაღი, ორი კლუბი, სასურსათო და წიგნის მაღაზიები, საყოფაცხოვრებო სახლი, საშუალო სკოლა.



... საღამოობით გაჩირაღდნებულია კოლმეურნეობის კლუბი, სადაც მუშაობს მხატვრული თვითმოქმედების ათი წრე. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს კოლმეურნეობის მეჩონგურე გოგონათა ანსამბლი.

ახალი შრომითი წარმატებებით ხვდებიან ბელადის იუბილეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელები.

**სურათებზე:** ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ერგეს ერთ-ერთი კუთხე; ნორჩი ლენინელები; სოციალისტური შრომის გმირი, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მეჩაიე გუგული ჭანიძე თავისი რგოლის წევრებთან.

ნ. ანასტასიევის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# სიტყვის ერთგულება

...ღლესი მთავარსარდლის ი. სტალინის მადლობაც დაიმსახურა...

იმავე წლის შემოდგომაზე პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო კრებაზე თავმჯდომარის სიტყვის ერთგულებაზე კმაყოფილებით ლაპარაკობ-...

...რწმენაჩამდგარი კოლმეურნეები კმაყოფილნი დაიშალნენ. ჩვენ კი საუბარი ლარგვისის სასოფლო საბჭოს აღმასკომში განვაგრძეთ.

— ამიტომაც სოფელს სასტუმრო კი უნდა ჰქონდეს, — ვეუბნები სასოფლო საბჭოს თავმჯ-...

# მისი სახელი უკვდავია

● ●

„ლენინური ფურცლები“ საქალაქო გაზეთში

**ქუთაისელი** მშრომელები დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით ეგებებიან პროლეტარიატის ბელადის, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს. ამ ისტორიული თარიღის საუკეთესო შრომითი მიღწევებით აღნიშვნისათვის ქალაქში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება.

ცხოვრების შუაგულშია საქალაქო გაზეთი „ქუთაისი“ (რედაქტორი — გ. მეფისაშვილი), რომელიც თავის ფურცლებზე სისტემატურად და ფართოდ აშუქებს ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ საინტერესო და შინაარსიან მასალებს.

გაზეთმა ამ საიუბილეო დღეების წინ დაიწყო „ლენინური ფურცლების“ ბეჭდვა.

„ლენინურ ფურცლებს“ აქვს რამდენიმე რუბრიკა: „ილიჩის სახელწოდებისა“ (საუბარია ლენინის პროსპექტისა და ბელადის მიერ ნაჩუქარი მაუდის ფაბრიკის შესახებ), „ბელადის სახე ჩვენი თეატრის სცენაზე“, „იგი იცავდა ლენინის ქალაქს“, „ლენინური სტიპენდიანტები“. აქვეა წარმოდგენილი ქრონიკები იმის შესახებ, თუ როგორ ემზადებიან ქალაქის პოლიტიკური განათლების კაბინეტი და „ცოდნის“ საქალაქო ორგანიზაცია იუბილესათვის.

**დ. გედენიძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

...კიდევ რა მოგვიტანს მეცხრე დროშას? ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის გონივრული დაგეგმვა. ჩვენ არა მარტო მეცხრე ხუთწლედი გვქონდა ასე დაგეგმილი, დაგეგმილი გვქონია მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტეც.

რას მოუტანს ხალხს ასეთი გეგმები? სიუხვესა და ბარაქას, სიკეთესა და სიხარულს, ზნეობისა და სიყვარულის ახალ თვისებებს.

მოწინავე პროგრესული მწერლობა ყოველ ეპოქაში დიდ სამსახურს უწევდა ხალხს, მწერლობა ადამიანის ზნეობრივ-ეთიკური აღმზრდელი იყო, მისი შრომა-გარჯის მეხოტბე იყო. ჩვენს დროში, ჩვენს ქვეყანაში ლიტერატურის ეს როლი კიდევ უფრო ამაღლდა, გაიზარდა, ახალი ნიშან-თვისება შეიძინა.

ქართველი მწერლები მუდამ მხარში ვედგით პარტიას. არასოდეს არ ვყოფილვართ ქვეყნის შენების, ადამიანის აღზრდის პასიური მოწმე, მუდამ ვიყავით და ვიქნებით ადამიანის სულიერი სილამაზის მეხოტბე, მისი შემოქმედებითი შრომის თანამონაწილე და ქომაგი.

არაერთი მაღალიდეური და მაღალმხატვრული რომანი, მოთხრობა, ლექსი, მუსიკა დაიწერა, ტილო დაიხატა და სპექტაკლი დაიდგა უკანასკნელი ორი ხუთწლედის განმავლობაში და ისინი ყოველდღიურ შემოქმედებითს შრომაში ჯეროვნად ეხმარებოდა მუშასა თუ გლეხს, მეცნიერს თუ მშენებელს.

დღეს მწერლები ხალხის სამსახურის საქმეში სამი გაფრენით წინა ვართ.

**გრიგოლ ჩიქოვანი**

# დასასვენებლად კარგია ბორჯომი...

● ●

როცა ბალადი საკურორტოლოგიო ჩამოსვლაზე შიფრავდა

**ახალგაზრდა** საბჭოთა რესპუბლიკა გმირულად იცავდა თავის მო-...

...მაგრამ ამ დაძაბულ და გადატვირთულ დღეებშა და აგვისტოს თავდასხმაში, რომელიც 1918...

გვაჭყობინებენ საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები



# ემზადებიან ლენინის იუბილესათვის

**ათენი.** საბერძნეთის პროგრესული საზოგადოებრიობა ემზადება, რათა ზეიმით შეხვდეს ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს, განაცხადა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში მარქსისტული კვლევის ცენტრის გენერალურმა მდივანმა სტავროს ზორბალასმა. იუბილეს დღეებში, თქვა მან, ქვეყნის უდიდეს ქალაქებში მარქსისტული კვლევის ცენტრი მოაწყობს ლექციების კურსს ისეთ თემებზე, როგორიც არის: „ლენინიზმი თანამედროვეობის რევოლუციური მოძრაობის დროშაა“, „ლენინი და დემოკრატია“, „ლენინიზმის საერთაშორისო ხასიათი“, „ლენინი ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის შესახებ“ და სხვ.

ამ ლექციების წაკითხვა, ათენსა და ქვეყნის სხვა ქალაქებში ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებები ხელს შეუწყობს იმას, რომ მის უკვდავ მოძღვრებას გაეცნონ ბერძენი ხალხის უფართოესი ფენები.

**ადის-აბება.** აქ გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია „ლენინის იდეები ცოცხლობენ და იმარჯვებენ“, რომელიც მიეძღვნა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის დაბადების 110-ე წლისთავს. იგი მოაწყეს ეთიოპიის მშვიდობისა და სოლიდარობის კომიტეტმა, ეთიოპია-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და სოლიდარობის კომიტეტმა და პოლიტიკურმა სკოლამ „იეკატიტ — 66“-მა.

კონფერენციაზე, რომელიც შედის სოციალისტურ ეთიოპიაში შესანიშნავი იუბილეს დღესასწაულის პროგრამაში, გამოვიდა ინფორმაციისა და ეროვნული ორიენტაციის მინისტრი გირმა იილმა. მან ხაზი გაუსვა, რომ ვ. ი. ლენინის მოძღვრებას წარუვალი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს ყველა ხალხისათვის, რომლებიც მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის იბრძვიან.

**ადენი.** დემოკრატიული იემენის დედაქალაქში გაიმართა ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია თემაზე „ლენინის მოძღვრება სოციალიზმის მშენებლობის შესახებ“. კონფერენციის გახსნაზე გამოსულმა იემენის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ალი აბდულ რაზაკ ბაზიბმა აღნიშნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიის სიწმინდისათვის, საზოგადოებრივ შეგნებაში წარსულის გადმონაშთების ლიკვიდაციისათვის, მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის განმტკიცებისათვის ბრძოლის ლენინურ პრინციპებს.

**ლუანდა.** ლენინური იდეების შესწავლა ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მშრომელთა პოლიტიკური აღზრდის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მიმართულებაა. ამას თვალნათლივ მოწმობს ანგოლის ჩრდილოეთ კვანზის პროვინციის ქალაქ დონდოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა.

მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის შრომები, აღნიშნა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში მპლა-შრომის პარტიის მუნიციპალური კომიტეტის კოორდინატორმა ანტონიო ჟოაომ, გვეხმარება კლასობრივი, პარტიული პოზიციებიდან მივუდგეთ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მოვლენათა შეფასებას.

# მომავლის საიმედო კომპასი

**ვენა,** 18 აპრილი. აქ გაიხსნა ავსტრიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი, რომლის ყურადღების ცენტრშია ევროპის მშვიდობისა და განიარაღების მხარდამჭერი კომუნისტური და მუშათა პარტიების პარიზის შეხვედრის მომზადების საკითხები, აგრეთვე ავსტრიის კომუნისტური პარტიის საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკის აქტუალური პრობლემები.

ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს მიუძღვნა თავისი გამოსვლა პლენუმზე ავსტრიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ავსტრიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ე. შარფმა.

მსოფლიოში კლასობრივი ბრძოლის განვითარება, თქვა მან, ადასტურებს რეალური სოციალიზმის ცხოველმყოფელობას და მიმზიდველ ძალას. საბჭოთა კავშირი სათავეში უდგას მსოფლიო რევოლუციურ პროცესს. დემოკრატიულ, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებთან, მშვიდობის ძალებთან შეკავშირებული სოციალისტური თანამეგობრობა საიმედო ბარიერია იმპერიალიზმის აგრესიულ მისწრაფებათა გზაზე.

ვ. ი. ლენინი, თქვა შემდეგ ე. შარფმა, მუდამ ხაზგასმით აღნიშნავდა სოციალიზმისათვის ბრძოლისა და მშვიდობისათვის ბრძოლის მჭიდრო კავშირს. ამის გამოხატულებაა საბჭოთა საგარეო პოლიტიკა, სსრ კავშირის მეცადინეობა მშვიდობის შესანარჩუნებლად.

მშვიდობის საქმე მთელი კაცობრიობის საერთო საქმეა. სწორედ ამიტომ დავთანხმდით მიწვევას—მონაწილეობა მიგვეღო პარიზის მშვიდობისა და განიარაღების მომხრეთა შეხვედრაში.

ამ დღეებში, თქვა ე. შარფმა, როცა ავსტრია აღნიშნავს ფაშიზმისაგან განთავისუფლების 35-ე წლისთავსა და სახელმწიფო ხელშეკრულების დადების 25-ე წლისთავს, ჩვენ მადლიერებით ვამბობთ, რომ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას, დემოკრატიასა და ნეიტრალიტეტს უმთავრესად საბჭოთა კავშირის გადამწყვეტ წვლილს უნდა ვუმადლოდეთ.

ყოველივე ეს, ხაზი გაუსვა ე. შარფმა, ლენინური პოლიტიკის რეალური გამოვლინებაა. ჩვენთვის, ავსტრიელი კომუნისტებისათვის, მისი შრომები საიმედო კომპასია სოციალისტური მომავლისათვის ბრძოლაში.

# ამოცანაა აგრესიის შეწყვეტა

**ნიუ-იორკი,** 18 აპრილი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში, სადაც გრძელდება სამხრეთ ლიბანში შექმნილი დაძაბული ვითარების განხილვა, ისრაელის აგრესიული მოქმედება დაახასიათეს როგორც მსოფლიო გაერთიანების შეუწყნარებელი აბუჩად აგდება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა წარმოადგინა ახალი მოხსენება, რომელშიც ნათქვამია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროებითი ძალები და მეთვალყურეთა სადამზვერვო ჯგუფები უწინდებურად რჩებიან თელ-ავივის აგენტურის — სეპარატისტული რაზმების მუქარისა და ძალადობის ობიექტად.

ლიბანის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გ. ტუეინიმ უარყო როგორც სრულიად დაუსაბუთებელია თელ-ავივის მტკიცება, თითქოს ქვეყნის სამხრეთ რაიონებიდან გაყვანილი იყოს მთელი ჯარები.

დაგმო რა ისრაელის პოლიტიკა, იამაიკის დელეგატმა უშიშროების საბჭოში ო. ნილმა ხაზი გაუსვა, რომ ლიბანის უკანასკნელი ამბები კიდევ ერთხელ ცხადყოფს ყოვლისმომცველი მოწესრიგების მიღწევის საჭიროებას.

პირველი რიგის ამოცანაა შეწყდეს ისრაელის აგრესია ლიბანის წინააღმდეგ, რომლის შედეგად საფრთხეში აღმოჩნდა ქვეყნის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, განაცხადა ბანგლადეშის წარმომადგენელმა ა. ახსანმა.

# ჩადის ამბები

**პარიზი,** 18 აპრილი. როგორც ჩადის დედაქალაქიდან იუწყებიან, მოშუღლე სამხედრო-პოლიტიკურმა დაჯგუფებებმა, რომლებმაც მაშველი ძალები და ახალი ტექნიკა მიიღეს, ინტენსიურად დაიწყეს მოქმედება ფრონტის მთელ ხაზზე. არ ცხრება ქვემეხებისა და ნაღმსატყორცნების სროლა საერთაშორისო აეროპორტის რაიონში, დედაქალაქის ჩრდილოეთში, სადაც ბრძოლები მიმდინარეობს ეროვნული ერთიანობის გარდამავალი მთავრობის თავმჯდომარის გ. უედეისა და ეროვნული თავდაცვის სახელმწიფო მინისტრის ხ. ხაბრეს ნაწილებს შორის.

სამხრეთის ფლანგზე, სადაც ერთმანეთს შეეტაკნენ გ. უედეის მხარდამჭერი მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ვადალ აბდელკადერ კამუგეს ძალები და ხ. ხაბრეს ქვეგანაყოფები, განახლდა საომარი მოქმედება მძიმე არტილერიის გამოყენებით.

როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, ქალაქში დარჩენილ მშვიდობიან მცხოვრებთა შორის გაჩნდა მენინგიტის ეპიდემია, რომელმაც ძირითადად ბავშვები იმსხვერპლა.






## ფოტოინფორმაცია

## მშრომელთა ინტერესების საზიანოდ

დასავლეთის ქვეყნების ახლანდელი რთული ეკონომიკური მდგომარეობა მძიმე ტვირთად აწვება მშრომელებს. მთავრობის პოლიტიკის უკმაყოფილოა ჰოლანდიისა და ინგლისის მოსახლეობაც.

ზემო სურათი ნათლად მეტყველებს ჰოლანდიელთა ცხოვრების დონეზე: ასობით უსახლკარო ამსტერდამელი შეეხიზნა ერთ-ერთ მიტოვებულ სახლს და მის ირგვლივ ბარიკადები მოაწყო პოლიციელთა შემოტევისაგან თავის დასაცავად. ათასზე მეტი პოლიციელი მოვიდა ჯავშნოსანი ავტომობილებით შენობიდან მათ გამოსაყრელად. შეტაკებისას დაშავდა რამდენიმე კაცი.

ინგლისის მთავრობა სულ უფრო კვეცავს განათლებისათვის განკუთვნილ სახსრებს. ქვემო სურათზე აღბეჭდილი გოგონა მთავრობის ამგვარი პოლიტიკის საწინააღმდეგო დემონსტრაციის მონაწილეა. მას ხელში პლაკატი უჭირავს, რომელსაც აწერია: „გადაარჩინეთ ჩვენი სკოლები!“

აპ-საქდესის ფოტო.

# კენჭისყრა სენატში

**რომი.** 18 აპრილი. იტალიის ახალმა მთავრობამ, რომელსაც ქრისტიანი დემოკრატი ფ. კოსიგა მეთაურობს და რომელიც აპრილის დამდეგს ჩამოყალიბდა ქრისტიანულ-დემოკრატიული, სოციალისტური და რესპუბლიკური პარტიების წარმომადგენლებისაგან, დღეს იტალიის პარლამენტის სენატში ნდობის ვოტუმი მიიღო. მთავრობას ნდობა გამოუცხადა 178 სენატორმა, წინააღმდეგ მისცა ხმა 127-მა.

ქვეყანაში თავისი სიდიდითა და მნიშვნელობით მეორე პოლიტიკურმა ძალამ — იტალიის კომუნისტურმა პარტიამ უარი თქვა მხარი დაეჭირა ფ. კოსიგას კაბინეტისათვის. პარლამენტში მთავრობის პროგრამის გამო გამართულ კამათის დროს იტალიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ, მათი აზრით, მთავრობის შემადგენლობა, აგრეთვე მისი პროგრამა არ შეესაბამება იმ რთულ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ მდგომარეობას, რომელსაც იტალია განიცდის, კომუნისტებმა დაადასტურეს, რომ ოპოზიციაში დარჩნენ.

ფ. კოსიგას მთავრობა ოფიციალურად შეუდგება თავის მოვალეობათა შესრულებას მას შემდეგ, რაც მაბათს დეპუტატთა პალატაში კენჭს უყრიან ნდობის ვოტუმს.

# პროპაგანდისტული სპექტაკლის ფინალი

**ვაშინგტონი,** 18 აპრილი. აქ პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა და ისრაელის პრემიერ-მინისტრმა მ. ბეგინმა დაამთავრეს მოლაპარაკება, რომელიც დასკვნითი აქტი გახდა ვაშინგტონის მიერ გათამაშებულ პროპაგანდისტულ სპექტაკლში, რომლის მიზანია შენიღბოს ისრაელ-ეგვიპტის სეპარატული გარიგების ანტიარაბული არსი.

ამერიკის შეერთებული შტატების ეგიდით კემპ-დევიდში დადებული გარიგების საკვანძო დებულებაა საკითხი ეგრეთ წოდებული პალესტინის „ავტონომიის“ შესახებ. ამ საკითხზე მოლაპარაკება ჩიხში მოექცა იმის გამო, რომ ისრაელმა ცივი უარი განაცხადა უზრუნველყოს პალესტინელთა უფლებები თუნდაც კემპ-დევიდის შეთანხმებათა ფარგლებში.

ვაშინგტონში გამოსვლისას მ. ბეგინმა კატეგორიულად უარყო ის იდეა, რომ შეიქმნას პალესტინის სახელმწიფო პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მმართველობით. „ასეთი პალესტინური სახელმწიფოსაკენ მიმავალი ნებისმიერი ნაბიჯიც კი სიკვდილის საფრთხეს უქადის თითოეულ ჩვენგანს“, ამტკიცებდა იგი. ბეგინმა ხაზი გაუსვა, რომ ისრაელი არასდროს არ დათანხმდება შეცვალოს ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე გასამხედროებული დაბების გაშენების პოლიტიკა.

თავის მხრივ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დაადასტურა ისრაელის წინაშე ნაკისრი ვალდებულებანი, რომლებიც, როგორც მან თქვა, „ისრაელისათვის საარსებო მნიშვნელობის ინტერესს წარმოადგენს“. ჩვენ დავიფიცეთ, ხაზი გაუსვა ამერიკის პრეზიდენტმა, „არასდროს არვაწარმოოთ მოლაპარაკება პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციასთან და არ ვცნოთ იგი. ჩვენ მტკიცედ და თანამიმდევრულად ვილაშქრებთ მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე ყოველგვარი დამოუკიდებელი პალესტინური სახელმწიფოს შექმნის წინააღმდეგ“. მან აგრეთვე ხაზი გაუსვა, რომ „იერუსალიმი განუყოფელი უნდა იყოს“.

როგორც „ვაშინგტონ პოსტი“ წერს, ეგვიპტის ინიციატივა — მომავალი ორმხრივი შეხვედრის ვაშინგტონში გადატანის შესახებ — უარყოფილია. მის ნაცვლად მიიღეს ბეგინის წინადადება, რომ მომდევნო 40 დღის განმავლობაში განაგრძონ „მარათონული“ მოლაპარაკება პალესტინის „ავტონომიის“ შესახებ თელ-ავივსა და ალექსანდრიაში.

ვაშინგტონში გამართულმა მოლაპარაკებამ კვლავ დაადასტურა, რომ მისი მონაწილენი სულაც არ აპირებენ იმ კარდინალური პრობლემების გადაჭრას, რომელთა გადაწყვეტასაც შედეგად მოჰყვებოდა სამართლიანი და მტკიცე მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში.

# წკიპურტი ბჟეჟინსკის

**თეირანი,** 16 აპრილი. ირანის ისლამური რესპუბლიკის გაერთიანებული შტაბის უფროსმა გენერალმა ჰადი შადმეჰრმა თეირანის რადიოსადმი ინტერვიუში განაცხადა: „იმის არავითარი ნიშანწყალიც არ არის, რომ საბჭოთა შეიარაღებული ძალები ირანის ტერიტორიაზე თავდასასხმელად ემზადებოდნენ“.

რადიო ხაზს უსვამს, რომ შადმეჰრმა ეს განცხადება გააკეთა ეროვნული უშიშროების საკითხებში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწის ზ. ბჟეზინსკის ამასწინანდელ პროვოკაციულ გამონათქვამებთან დაკავშირებით, რომელიც ამტკიცებდა, „საბჭოთა ჯარები ამიერკავკასიიდან ირანში შესაჭრელად ემზადებიანო“.

# ერაყის გაზეთის ცნობა

**ბაღდადი,** 18 აპრილი. მთავრობის გაზეთმა „ალ-ჯუმჰურიამ“ უარყო უცხოეთის პრესაში გამოქვეყნებული ცნობები იმის თაობაზე, რომ შესაძლოა აღდგეს დიპლომატიური ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ერაყს შორის. ასეთი ცნობები, რომლებსაც თან სდევს ჭორები ერაყ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ერთგვარი „გაცივების“ შესახებ, ხაზს უსვამს გაზეთი, ამახინჯებს ჩვენი ქვეყნის საყოველთაოდ ცნობილ პოზიციას საერთაშორისო ასპარეზზე. სოციალისტურ ქვეყნებთან ჩვენი ურთიერთობა „ყოველმხრივ თანამშრომლობაზეა დაფუძნებული“.

*მოკლედ*

# ყოველი მხრიდან

*18 აპრილი*

● **ჰანოი.** ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაში დამთავრდა დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანიის — ვიეტნამის კომპარტიის წევრებისათვის პარტიული ბილეთების მიცემის პირველი ეტაპი. ბილეთები უკვე მიიღო კომუნისტების ათმა პროცენტმა. ბილეთების მიცემასთან ერთად მიმდინარეობს ვიეტნამის კომპარტიაში ახალი წევრების მიღება.

● **პარიზი.** საფრანგეთის ფირმებისათვის საბჭოთა საფეიქრო მანქანათმშენებლობის უკანასკნელი მიღწევების გაცნობას მიეძღვნა საფრანგეთის ქალაქ ვამბრეში გამართული სიმპოზიუმი. იგი მოაწყვეს საგარეო ვაჭრობის გაერთიანება „ტეხმაშექსპორტმა“ და საფრანგეთის უდიდესმა საფეიქრო ფირმამ „აგაშ-ვილომ“. ამჟამად საფრანგეთის ფაბრიკებში მუშაობს საბჭოური წარმოების 600-მდე საქსოვი დაზგა და სართავი მანქანა.

● **მეხიკო.** მექსიკელ ეკონომისტთა ლიგამ მოითხოვა ბოლო მოეღოს მრავალეროვნული, უმთავრესად ამერიკული, მონოპოლიების ძალმომრეობას მექსიკაში. უცხოეთის მონოპოლიების ბატონობა ქვეყანაში, ნათქვამია ლიგის განცხადებაში, იწვევს ხალხის ცხოვრების დონის დაქვეითებას, უმუშევრობის, ინფლაციის ზრდას, ეკონომიკისადმი სახელმწიფო კონტროლის შესუსტებას. მექსიკის მუშათა და გლეხთა კონფედერაციის აქ გამართულ VII ყრილობაზე 3 ათასამდე დელეგატმა მოითხოვა განახორციელონ კვებისა და ფარმაცევტული მრეწველობის ნაციონალიზაცია.

# დედას ვუყვარვართ შვილები...

გულ-მკერდიმც აგიყოვდება,
დედაო, ია-ვარდითა!
თვალებს ნუ ითხრი ცრემლითა,
გულს ნუ ისერავ დარდითა!
ვაჟა.

**ყოველ** ჩვენგანს, განსაკუთრებით კი პროფესიით ჟურნალისტს, დიდი ილიას თქმისა არ იყოს, ალბათ, ძილშიაც არ უნდა ეძინოს, გახელილი თვალებით უნდა სთვლემდეს, რათა არ დარჩეს შეუმჩნეველი ბევრი ისეთი რამ, რაც გულსა გვტკენს, სულს გვიფორიაქებს, გვაშფოთებს. გულსატკენს კი ჩვენს დალოცვილ მიწაზე ჯერ კიდევ ბევრს ნახავს, ბევრს გაიგონებს კაცი. იმ დღეს თიანეთში გზად მიმავალი სოფელ ღულელების შარაგზაზე, წყაროსთან შევჩერდით. ჩემი ყურადღება გზის მარცხენა მხარეს სახურავჩაქცეულმა სახლმა მიიპყრო. არ მესიამოვნა. დარჩენილი სახლის ერთი ნაწილი, რომელსაც კედლები დასკდომია და ჯერ კიდევ ფეხზე დგას, მოწყენილად გამოიყურებოდა. კარებს კლიტე ედო. ეზოში ჭაჭანება არ იყო, ძაღლის ყეფაც არსაიდან ისმოდა.

— ვისია ეს დანგრეული სახლი? — ვკითხე იქვე შეჯგუფებულ მამაკაცებს.

— ეგ სახლი მართა ბებოსია, ქმარი ომში დაეღუპა და... — ყრუდ მომიგეს მათ.

— მერე? არავინა ჰყავს მიმხედავი? შვილი არ დარჩენია?

— შვილი? როგორ არა, — მძიმედ ამოიოხრა ერთმა. — ოთხი შვილი ჰყავს, ოთხივე დაოჯახებული.

— აქ ცხოვრობენ?

— არა, ოთხივე თბილისშია.

— არ მოდიან, არ ეხმარებიან?

— რა ვიცი, იშვიათად, ჰკითხეთ და თვითონ გეტყვით მოხუცებული.

გული უფრო მეტკინა. გადავწყვიტე მენახა მართა ბებო და ყველაფერი დაწვრილებით გამომეკითხა...

და აი, ღულელების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გიორგი სიმონიშვილთან ერთად მართა ბებოს სანახავად მივდივართ. კარები კვლავ დაკეტილი დაგვხვდა. სახლის შორიახლო, ბოსტანში, შავოსანი მაღალი ქალი შევნიშნეთ. მართა ბებოს ხელში თოხი ეჭირა და ბოსტანში ფუსფუსებდა.

მართა ბებოს გავეცანით, მოვიკითხეთ. მოხუცს გაუხარდა.

— ხალხს იშვიათად ვაგონდები, თქვენ რამია მოგიყვანათ აქა, — ჩაილაპარაკა ქალმა.

— ძაან კი მოსძალებია ბალახი ამ ბოსტანს, — შენიშნა აღმასკომის თავმჯდომარემ.

— რა ვქნა, შვილო, სამოცდაათ წელს მიღწეული ვარ, ამდენ ხანს კაც-დედაკაცობამ ჯანი გამიტეხა. შვილები განა ცუდები მყავს, სუყველა გზაზეა დამდგარი, არ მინდა მათი შერცხვენა, მაგრამ აღარ შემიძლია. ბევრი გავჭირვი, დედაც მე ვიყავი მაგათი და მამაც, ეხლა კი სულაც არ აჯავრებთ, ცოცხალი ვარ თუ მკვდარი, თავის ცოლშვილს შეჰყურებენ, სიძე თუ ამოა ხანდახან და ის მომიტანს შეშასა, ეგ არის და ეგ. მარტო შვილიშვილი თერთმეტი მყავს, როგორც გავიგე, სულ უფროსს პატარძალიც მოუყვანია. ის ამოდენა ხეხილი, მაგათთვის მინდა, აბა, ვისთვის მინდა. აი ეს ბოსტანი მთლიანად ვერ დავამუშავე, მეზობლის ბალღს დავუძახე, იმას დავაბარიშე და თავისი კურდღლებისათვის კომბოსტო დავათესინე, მიწა რად უნდა მომცდარიყო! კომბოსტოს და მარწყვს მენაც ვთესავ სახლის წინ, თუ ამოვიდნენ, ხო კარგი, და თუ არა, მე თვითონ ვუგზავნი.

დედილას, აჟღურები ხართ და იმიტომ გეუბნებით, თორემ ამ ამბავს ქვეყანას როგორ გავაგებინებ, ჩემ ოჯახზე თავის დღეში ცუდად არავინ აჩქამებულა, შვილები არ დამიღონოთ, არა უშავს, თითონ ტყვენ კარგად, თორემ სანამ პირში სული მიდგას, თავს გავიტან.

„**სალამი** ცოლ-შვილს. როგორა ხარ, მართა, როგორ არიან ჩვენი ბარტყები. ვიცი გაგიჭირდება, მაგრამ შენი იმედი მაქვს... თუ წერილმა დაიგვიანოს, ნუ დაღონდებით, გახურებული ომია და წერილისათვის მოცლა არ არის. დამიკოცნე შვილები. თქვენი გიორგი“.

ეს იყო ოჯახის უკანასკნელი წერილი ფრონტიდან. ოჯახის დედა კი თავს დასტრიალებდა უმწეო ბარტყებს, რომელთაგან უფროსი ათი წლისა იყო, ხოლო უმცროსი ორი წლისა. ახალგაზრდა ქალი, მართლაც დღე და ღამეს ასწორებდა. მაგრამ ომი იყო და სუყველას უჭირდა, უჭირდა მართასაც.

სამწუხაროდ, გიორგი ვერ დაუბრუნდა ოჯახს, მართას კაცდედაკაცობის უღელი მაინც მძიმე დარჩა. ეს კია, როცა ქვეყანამ ამოისუნთქა, დედის ტვირთიც თანდათან შემსუბუქდა. ომის შემდგომ წლებში მართამ ისიც შეძლო, რომ შვილებს თბილისში დაუყვედრებელი კუთხე-კუნჭული ჰქონოდათ, სადაც წლების მანძილზე, ყველა შვილს მოუწყო ცხოვრება, ზოგმა საშუალო დაამთავრა, ზოგმა ტექნიკუმი.

— **შვილო,** სერგო, სახლის კედლები დაიბზარა, ჭერი ჩამოწოლაზეა. ნაკვეთი ორ ადგილასა გვაქვს, — უთხრა დედამ უმცროს შვილს, — მოდი, გზის იქით როგორმე პატარა სახლი ჩავდგათ, გინდა ერთი ოთახი იყოს. შენ თუ იქ ააშენებ, ოთარმა აქ ააშენოს, ეს ძველი სახლის ეზო-კარი მას დარჩეს, მშვენიერი ბაღია. ამით მეც დავისვენებ და იმის ჯავრიც აღარ გამყვება, რომ ვაჟები ქალაქის ანაბარა დარჩებიან. ქალაქიდან ხალხი აქეთ მოიწევს, თქვენ რატომ უნდა ამოიკვეთოთ ფეხი მამა-პაპის კერაზე? ბოლოს და ბოლოს, სამუშაო თუ გინდათ, აქაც კარგად იმუშავებთ.

დედა მოუთმენლად ელოდა გაზაფხულს, შვილის ამოსვლას. სერგო ამოვიდა, მეზობლებს დაუძახა, სახლის საძირკველი გათხარეს და ბეტონიც ჩაასხეს.

ეს იყო სამიოდე წლის წინათ, მას შემდეგ აქ ქვა ქვაზე აღარ დადებულა. საძირკველს უკვე ბალახმა და ჭინჭარმა გადაუარა. მართა ბებო გაუვლის მიტოვებულ საძირკველს და გული ეკუმშება. მაინც იმედს არ კარგავს, მაინც აქვს მოლოდინი...

ნუთუ ასე ძნელია ოთხი დაძმისათვის, დედას ერთი პატარა ოთახი აუშენონ, რომელიც ისევ მათი საკუთარი შვილების დასასვენებელი, სამყოფელი და საცხოვრებელი იქნება? მაგრამ სახლი ვინღა ჩივის, როცა დაძმებს სოფელ ღულელებში, თბილისიდან 40-50 კილომეტრზე ამოსვლა, დედისათვის შეშის მოტანა, ტკბილი სიტყვის თქმაც კი გასჭირვებიათ.

ოთარ, სერგო, ეთერ, ნადია! გვინდა გკითხოთ, საკუთარ მომავალზე, სიბერეზე ხომ ფიქრობთ? თუ ფიქრობთ, ისიც უნდა კარგად იცოდეთ, რომ ყველაზე დიდი სკოლა თქვენი შვილებისათვის თქვენი ოჯახი, თქვენი ქცევა და ხასიათია. ხომ გაგიგონიათ უხსოვარი დროის გადმოცემა, როცა უღირსი შვილისაგან კლდეზე დასაგორებლად განწირულმა ღრმად მოხუცებულმა მამამ თავის პირმშოს მორიდებით მიმართა: „ისეთი გოდორი დაწანი, შენ შვილებსაც გამოადგესო“. ამ სიტყვებმა გულქვა შვილს ცოდვაზე ხელი ააღებინა.

როგორ ფიქრობთ, განა თქვენ, თქვენი საქციელით, ამ შემთხვევაში მშობელი დედისათვის უმადურობის, ყოვლად მიუტევებელი გულნამცეცობისა და გულგრილობის გოდორს არ წნავთ? სანამ ჯერ კიდევ გვიანი არ არის, ამ აკაცობის გოდორს კაცური კაცობის ცეცხლი შეუნთეთ და დაწვით. და ეს ისე, რომ შვილებსაც, სოფელსაც კარგად დაანახოთ.

ჩვენ დღის თქვენ გვარს არ ვახსენებთ. ჯერ ერთი, იმიტომ რომ თქვენში ადამიანობის რწმენა საბოლოოდ არ შეგვრყევია, მეორეც, არ გვინდა თქვენთვის წამლად დანაყილ დედას კიდევ გული ვატკინოთ. აქვე გვინდა გაგაცნოთ თქვენს მეზობლად აღზრდილი პოეტის, მამათქვენის მსგავსად შინმოუსვლელი, ფარაჯაგახვეული მეომრის, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის მირზა გელოვანის მიერ დედისადმი გამოგზავნილი ერთი წერილი: „ძვირფასო დედა! ძალიან ხშირად ვფიქრობ თქვენზე. სიზმარშიც ხშირად გხედავთ. ხედავთ, დედიკო, როგორ გადაიდო ჩვენი შეხვედრა. წლები მიდიან... თუმცა მე მჯერა, დავბრუნდები გამარჯვებულ ლაშქართან ერთად და კვლავ ვიგრძნობ თავს პატარა ბიჭად თქვენს სიახლოვეს. მაინც, ვინ იცის, როდის იქნება ეს ყველაფერი. მე ძალიან კარგად ვარ. გიგზავნით ატესტატს ხუთას მანეთზე. ძველი გაუქმდება. მიიღებთ ახლებურად: ყოველთვიურად ხუთას მანეთს. არაფერი დაიკლოთ. მე ყველგან და ყოველთვის კარგად ვიქნები. თქვენ ნუ დამიღონდებით. გკოცნით. მირზა. 2.IV.42“.

„**დედის** ჩაწვეთებულ ცრემლზე ია ამოდისო, ასე იტყოდნენ ჩემს ყრმობაში. ჩემი სოფლის ტყისპირებში ყოველ გაზაფხულზე ია ბლუჯებად ამოდიოდა, არემარე სულ ლურჯად გადაიბურებოდა ხოლმე. მეგონა, მთელი ქვეყნის დედებს აქ ეტირათ, იმდენი ია ამოსულიყო ჩემი სოფლის მშვენიერ მიდამოებში. იის სიყვარული დედამ შთამაგონა, იასავით სპეტაკი ადამიანი იყო. თვითონაც ხომ პირველი იების მოსვლის დღეებში გაგვშორდა...

ამ წიგნს ვუძღვნი ძვირფას დედას, რომელმაც მასწავლა იების სისპეტაკისა და მშობლიური მიწის სიყვარული“.

ამ სტრიქონების ავტოგრაფი ამშვენებს გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხეს“.

იებით დაწნული ეს სიტყვა დედა-შვილური სიყვარულის გვირგვინია, რამეთუ დედა სამყაროს საწყისი, სამყაროს სული, წყარო ამქვეყნიური მშვენიერებისა, სიკეთისა. მხოლოდ დედის ჭეშმარიტად მოსიყვარულე ადამიანს შეუძლია ერისა და სამშობლოს ღირსეული სამსახური, მეგობრის გატანა.

ჩვენთვის, ქართველებისათვის, როგორც დიდი ილია ბრძანებს, „დედა“ მარტო მშობელი არ არის. ქართველი დიდ ენასაც „დედაენას“ ეძახის, უფროს ქალაქს „დედა-ქალაქს“, მკვიდრს და დიდბოძს სახლისას „დედაბოძს“, უდიდეს და უმაგრეს ბურჯს — „დედა-ბურჯს“, სამთავრო აზრს — „დედააზრს“, გუთნის გამგებელ მამაკაცსაც კი „გუთნისდედას“. რამოდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამოდენად გამრავალგვარებული, გაპატიოსნებული, გაღონიერებული და თავმოსაწონებელი!... სიდიდე, სიმაგრე და სიმკვიდრეც კი აღნიშნულია დედობით, ამაზე მეტი პატივი რაღა უნდა მოუტანოს სახელმა! სიტყვა „ქალი“ განა იმიდენად გვეტყვის, რასაც გვეუბნება „დედა“ და მასთან ერთად „კაცი“?!

ბუნებრივია, მშობლისადმი რწმენა, პატივისცემა, მისდამი კდემა და მოწიწება შინაგანად ჩაქსოვილი იყო, არის და იქნება ქართველი კაცის სულსა და გონებაში. ამ დიდ გრძნობას, თქმა არ უნდა, დღესაც მეტად სათუთი მოვლა სჭირდება. მშობლების სიყვარულის, მამაპაპური კერისადმი პატივისცემის მაღალ მოვალეობას დღეს თითქოს მძიმე სენად შეჰყრია მასობრივი მიგრაცია სოფლიდან ქალაქში, მთიდან ბარში.

ერთი სიტყვით, როცა ოთხი შვილი ტოვებს მამის ტყეს, მშობელ დედასაც ზურგს შეაქცევს, მაშინ იქ სულ მალე, მართლაც, მხოლოდ ნასახლარი დარჩება... და ეს მარტო ამ ოჯახს, ერწო-თიანეთის მაღალმთიან სოფლებს, მათ მკვიდრთ როდი ეხება...

თიანეთის რაიონის ყოველ სოფელში შეხვდებით შინმოუსვლელი ჯარისკაცის შავებგადაუხდელ დედას, მეუღლეს. სახელმწიფო ყოველწლიურად მათთვის მნიშვნელოვან სახსრებს გამოყოფს, უშენებს ბინებს, აძლევს შეღავათებს. ჩვენ გავეცანით საქართველოს კომპარტიის თიანეთის რაიკომის, რაისაბჭოს აღმასკომის, ადგილობრივი სასოფლო საბჭოების აღმასკომების სახელზე შემოსულ განცხადებებს. შეიძლება ითქვას, რომ ეს განცხადებები უყურადღებოდ არ რჩება. პარტიის რაიკომის ბიუროს დადგენილებებსა და რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებებში პრინციპული შეფასება აქვთ მიცემული ცალკეული უწყებების, მათი ხელმძღვანელების გულგრილ და ზოგჯერ უსულგულო დამოკიდებულებას მშრომელთა, განსაკუთრებით კი დიდი სამამულო ომის მონაწილეთა ოჯახების საჭიროებებისადმი.

მაგრამ ყოველივე ეს ცოტაა, საჭიროა მეტი გულისხმიერება, მუშაობა ამ მხრივ კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს. ჩვენ ყველამ სამაგალითო უნდა მივაგოთ იმათ საამიერო საქმეებს, წმინდა სახელებს, ვინც დღევანდელი ბედნიერი, მშვიდობიანი ცხოვრების გათენებას შეეწირა.

**ხ. არჩემაშვილი,**
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

ნუ დაივიწყებთ მამა-პაპისეულ კერას, სახლს, [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჩინეთში** ნაირ-ნაირ ღონისძიებებს მიმართავენ, რათა აღკვეთონ ჩინეთის მოსახლეობის უკმაყოფილება და გააძლიერონ შეტევა მის უფლება-თავისუფლებებზე. სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივმა კომიტეტმა, რომელიც ახლა პეკინში მართავს სხდომებს, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი მე-5 პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მომავალ სესიას შესთავაზა „შეკვეცოს“ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის 45-ე მუხლი, რომელიც ქვეყნის მოქალაქეთა ძირითად უფლებებს ეხება. კერძოდ, აპირებენ იმ დებულების ამოღებას, რომელიც ნებადართულად აცხადებს „აზრის ფართოდ გამოთქმას, შეხედულებათა სრულ გადმოცემას, ფართო „დისკუსიებსა“ და დაძიბაოების გამოკვრას“. სულ ორი წლის წინათ ამ დებულებას, რომელსაც ჩინეთის პრესამ „ოთხი ფართო“ უწოდა, რეკლამას უწევდნენ როგორც ღონისძიებას, რომელიც „ფართო დემოკრატიის“ გარანტიაა.

დღეს კი ჩინეთის ლიდერებმა შეიცვალეს თვალსაზრისი „ოთხი ფართოს“ გამო. დენ სიაოპინმა ერთ-ერთ თათბირზე გამოსვლისას ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დამდეგს პირდაპირ განაცხადა, რომ მათ „არ შეუსრულებიათ პოზიტიური როლი“, და თქვა, ვითომდა ისინი „ადამიანებს ხელს უშლიდნენ ნორმალურად გამოეყენებინათ თავიანთი უფლებები“.

პეკინის ხელმძღვანელობის საშინაო-პოლიტიკური პრაქტიკა მოწმობს, რომ „ოთხი ფართოს“ შეტანა კონსტიტუციაში იყო მხოლოდ დემაგოგიური მანევრი, რომელიც მიზნად ისახავდა მოეტყუებინა საზოგადოებრივი აზრი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ. როგორც

# კვეცენ კონსტიტუციას

ცნობილია, დაძიბაოების კამპანიის, რომელიც 1978 წლის დამლევს გაჩაღდა ჩინეთის დედაქალაქში, მერე კი ქვეყნის სხვა ქალაქებშიც, თავდაპირველად ხელისუფალნი მხარს უჭერდნენ. დაძიბაოების გასაკრავი მთავარი ადგილი პეკინში — „სიდანის კედელი“ — სავალდებულო პუნქტად იყო შეტანილი დედაქალაქში ჩამოსულ უცხოელთა გასაცნობი მოგზაურობის პროგრამებში. მათგან ყველაზე ცნობისმოყვარეებს შეეძლოთ ესაუბრათ „დემოკრატიულად განწყობილ ახალგაზრდებთან“. ასე უმტკიცებდა პეკინი დასავლეთს თავის „ფართო დემოკრატიას“ და იმასაც კი ცდილობდა, რომ დაძიბაოები გამოეყენებინა შოვინისტური განწყობილების გასაღვივებლად, რეაქციულ ძალებთან პირშეკვრის პოლიტიკის გასამართლებლად და საერთაშორისო ასპარეზზე ჰეგემონისტური პოლიტიკის განსახორციელებლად.

მაგრამ, ცოტა ხანში, დაძიბაოების კამპანია თანდათან გამოვიდა ხელისუფალთა კონტროლიდან. „სიდანის კედელზე“ და სხვა ადგილებში სულ უფრო ხშირად აკრავდნენ ფურცლებს, რომლებშიც გმობდნენ მაო ძედუნს, აგრეთვე იმათ, ვის ხელშიც არის ამჟამად ძალაუფლება, ოფიციალური პეკინის ხაზის მოუხედავად „სიდანის კედელზე“ გაჩნდა დაძიბაოები, სადაც მოითხოვდნენ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის ნორმალიზაციას და გაუმჯობესებას. მკაცრი აკრძალვის მიუხედავად, გამოიძებნენ ადამიანები, რომლებმაც მოსახლეობას მოუწოდეს დაეგმოთ ვიეტნამის წინააღმდეგ მიმართული აგრესია.

ამას პასუხად რეპრესიები მოჰყვა. დაძიბაოების გაკვრა აიკრძალა, მათ ავტორებს კი დევნა-დაპატიმრება დაუწყეს.

დაძიბაოების გამოკვრის აკრძალვა მოქალაქეობრივ უფლებათა თავისუფლებათა ჩახშობის მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტი იყო. ახლა არმიისა და პოლიციის ძალები ჩინეთის ქალაქებში პატრულობენ. სასწრაფოდ აწყობენ მრავალრიცხოვან თათბირებს „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის“, წარმოებაში დისციპლინის დამყარების საკითხებზე.

ჩინეთის გაზეთები რეპრესიულ ღონისძიებათა გასამართლებლად იმას იმიზეზებენ, თითქოს ეს ღონისძიებები მხოლოდ და მხოლოდ ახალგაზრდობას შორის გახშირებული დამნაშავეობის წინააღმდეგ იყოს მიმართული. სინამდვილეში, როგორც იგივე გაზეთებიდან ჩანს, ჩინეთის ხელისუფალნი სისხლის სამართლის დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ნიღბით პროტესტის ყოველგვარ გამოვლინებას ახშობენ.

წარსულის „გადახრებისა“ და „შეცდომების“ აღიარებას ჩინეთში როდი ახლავს თან მთელი ქვეყნის მასშტაბით რეპრესიული მეთოდების შემდგომ ფართო გამოყენებაზე უარისთქმა. დღეს, ისევ როგორც წინათ, ხელისუფალნი რისხვას ატეხენ თავს ყველას, ვინც ისე კადნიერდება, რომ უკმაყოფილებას გამოთქვამს ჩინეთის ხელმძღვანელობის პოლიტიკური კურსის გამო.

(საქდესი).

# სრულვყოთ ავტომობილების წარმოება

**ავტომობილმშენებლობა** საქართველოს მრეწველობის შედარებით ახალგაზრდა დარგია, რომელიც 25 წელზე ცოტა მეტი ხნის წინათ შეიქმნა. ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა — დარგის წამყვანი საწარმო — უშვებს მანქანებს, რომლებისთვისაც დამახასიათებელია მაღალი მანევრულობა. ისინი კარგად მუშაობენ მთისა და ზამთრის მკაცრ პირობებში. ამჟამად ქარხანაში რეკონსტრუქცია მიმდინარეობს, რომლის დამთავრების შემდეგ ქვეყნის წამყვანი აგრარული რაიონების სოფლის მეურნეობისათვის ავტომატარებლების სერიული წარმოება დაიწყება.

საქართველოში ჩამოსული იყო სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის მინისტრი ვ. ნ. პოლიაკოვი, რომელიც გაეცნო ქუთაისის საავტომობილო ქარხნის რეკონსტრუქციის მიმდინარეობას, ესაუბრა მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, გამოიკითხა საწარმოს კოლექტივის სოციალური განვითარების საკითხები.

ამხ. ვ. ნ. პოლიაკოვი შეხვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს ამხ. გ. ვ. კოლბინს.

საქართველოში მოგზაურობისას ამხ. ვ. ნ. პოლიაკოვთან ერთად იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძე და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე ბ. ზ. ბარსუკოვი.

(საქინფორმი).

*საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში*

# მომჭირნედ ვხარჯოთ სათბობი

**სათბობის,** ელექტროენერგიისა და მატერიალური რესურსების მომჭირნედ ხარჯვის საკითხებს მიეძღვნა თათბირი, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გაიმართა.

რესპუბლიკის სათბობისა და ენერგეტიკული ბაზის განვითარების მდგომარეობის პერსპექტივებზე ინფორმაცია გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ვადაჭკორიამ.

დამსწრეთა ყურადღება მიაპყრეს ნაკლოვანებებს, რომლებიც შეიმჩნევა ელექტროენერგიით, გაზითა და სხვა სათბობ-მეტერიალური რესურსებით რესპუბლიკის საწარმოების, დაწესებულებებისა და მცხოვრებლების უზრუნველყოფის ორგანიზაციაში, და მათი აღმოფხვრის აუცილებლობას.

თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. მარგალიტაძე, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ო. ქვილითაია და სხვები.

(საქინფორმი).

# წიგნის ლენინიანა





მინიატურული გამოცემები



**სოხუმში** გაიხსნა ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილი მინიატურული წიგნების აფხაზეთის რესპუბლიკური გამოფენა. იგი ეძღვნება დიდი ბელადის დაბადების 110-ე წლისთავს.

ვერნისაჟზე, რომელიც მოაწყვეს წიგნის მოყვარულთა საზოგადოებამ, რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ და გაერთიანება „აფხაზწიგნმა", წარმოდგენილია ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა 150-მდე მინიატურული გამოცემა და წიგნები სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა მრავალ ენაზე რევოლუციის ბელადის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

გამოფენაზე ყველაზე დიდია სოხუმელი ნიკოლოზ კობილინის კოლექცია. ათობით მინიატურული წიგნი ლენინზე, სკკპ ისტორიის დოკუმენტები, ნარკვევები საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეთა შესახებ — აი კოლექციონერის გამოცემათა არასრული ნუსხა.

**სურათებზე:** სოხუმელი კოლექციონერი ნიკოლოზ კობილინი ახალი მინიატურული წიგნით ლენინზე; მინიატურული წიგნები ბელადზე; გამოფენის ერთ-ერთი კუთხე.

ი. ჭოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## ხალხი უმღერის

„**კვლავ** წინ მივდივართ, უკვდავო ლენინ, მარად ინათებს ხალხების გულში, დიდო ბელადო, სახელი შენი", — ეს სიტყვები ამოღებულია ხალხური მთქმელის ნიკო ბულალაურის ლექსიდან. ბელადისადმი მიძღვნილი მისი ლექსები 50 ხალხური მთქმელის სხვა ლექსებთან ერთად დაიბეჭდა ქართული ხალხური პოეზიის მეთორმეტე ტომში.

— ქართულ ფოლკლორში შექმნილია ლენინის — ხალხის ქომაგის მაღალპოეტური სახე, მოთხრობილია ილიჩის ცხოვრებასა და ისტორიულ დამსახურებაზე, რომლის ხელმძღვანელობითაც ხალხმა დაამსხვრია საუკუნოვანი ბორკილები და სანუკვარი თავისუფლება მოიპოვა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ამ აკადემიური გამოცემის მთავარმა რედაქტორმა, პროფესორმა მიხეილ ჩიქოვანმა. ზეპირ შემოქმედებაში წამყვანი ადგილი უკავია რევოლუციურ პოეზიას, და ბუნებრივია, ამ პოეზიის ცენტრალური ფიგურაა ვ. ი. ლენინი.

ჩვენი ყოველწლიური ექსპედიციები გვარწმუნებს, რომ თანამედროვე თემა სულ უფრო მეტ ასახვას პოულობს ხალხური მთქმელების შემოქმედებაში.

ამ ტომში შესული დაახლოებით 600 ნაწარმოები დამაჯერებლად მოწმობს, რომ თანამედროვე თემატიკა წამყვანია ხალხური მთქმელების შემოქმედებაში.

წიგნს წამძღვარებული აქვს ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატების დ. გოგოჭურისა და ვ. მაცაბერიძის გამოკვლევა „თანამედროვე ხალხური პოეზია".

(საქინფორმი).

● ●

## მასობრივი მკითხველისათვის

დიდი ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ამ საზეიმო დღეებში გამომცემლობა „მეცნიერებამ" საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით დაბეჭდა და გამოსცა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ აპოლონ ნუცუბიძის წიგნი „ვ. ი. ლენინის კლასიკური ნაშრომი „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში" მისი გამოსვლის მე-80 წლისთავის გამო".

ნაშრომში მოცემულია ვ. ი. ლენინის წიგნის „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში" მოკლე შინაარსი და ძირითადი დებულებები, ვ. ი. ლენინის ბრძოლა, უწინარეს ყოვლისა, ნაროდნიკების, აგრეთვე „ლეგალური" მარქსისტების, „ეკონომისტების", და სხვათა წინააღმდეგ, ნაჩვენებია კაპიტალიზმის შინაგანი წინააღმდეგობანი და მისი ისტორიულად გარდამავალი ხასიათი.

პოპულარული ენით დაწერილი წიგნი მასობრივი მკითხველისათვის არის გათვალისწინებული.

● ●

## ქართველი პოეტების ხმა

**დიდი** ბელადის იუბილეს წინა დღეებში შესანიშნავი საჩუქარი მიიღო ქართველმა მკითხველმა — გამომცემლობა „მერანმა" წიგნის ბაზარზე გამოუშვა კრებული „ლენინს — ქართველი პოეტები".

„ქართული ლენინიანა, — ვკითხულობთ წინასიტყვაობაში, — დაიწყო გალაკტიონ ტაბიძის ლექსით „გემი „დალანდი". ამის შემდეგ მრავალმა ქართველმა პოეტმა უმღერა ვლადიმერ ლენინს. დიდი და ძვირფასია საგანძური, რომელიც სამოცი წლის მანძილზე დაგროვდა ქართულ ლიტერატურაში".

ბუნებრივია, კრებული იხსნება გალაკტიონ ტაბიძის ლექსით „გემი „დალანდი". მკითხველი კიდევ ერთხელ ინტერესით წაიკითხავს ალექსანდრე აბაშელის, ლადო ასათიანის, იოსებ გრიშაშვილის, კარლო კალაძის, ალიო მირცხულავას, სანდრო შანშიაშვილის, ჯანსუღ ჩარკვიანის, თამაზ ჭილაძის და სხვათა პოეტურ სტრიქონებს, რომლებიც ცოცხლად გვიხატავენ ოქტომბრის ბელადის სახეს.

კრებულის სარედაქციო კოლეგიაში შედიან გ. აბაშიძე, რ. მარგიანი, ჯ. ჩარკვიანი, გამომცემლობის რედაქტორია ლ. არაბიძე, ვ. ი. ლენინის პორტრეტის ავტორი — საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი უ. ჯაფარიძე.

# მათი შემოქმედებითი ვალი

## კულტმასობრივი მუშაობის ეფექტი

**თბილისში** უკვე შვიდი წელია არსებობს პროფკავშირთა კულტურის სასახლე, რომელსაც რესპუბლიკის ბევრი დაწესებულება ექვემდებარება. თითქმის მთლიანად ამ სასახლის შემოქმედებით ტონუსზეა დამოკიდებული 259 საკლუბო დაწესებულების მუშაობის დონე და ეფექტიანობა. ამდენად, მოვალეობა, რომელიც აკისრია კულტურის ამ ერთ-ერთ დიდ კერას (დირექტორი — ნ. კანდელაკი), ფრიად საპასუხსაგებია, რადგან ხელოვნებას დღითი დღე სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის და, ამდენად, საზოგადოების სულიერი სამყაროს ფორმირებაში.

სასახლეში მუშაობს ექვსი განყოფილება: მეთოდიკური, პოლიტგანათლების, მხატვრული თვითმოქმედების, კულტმასობრივი, ბავშვთა შორის მუშაობისა და ტექნიკური. 15 სახალხო უნივერსიტეტიდან 3 ადგილზე მუშაობს, 12 კი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში. უნივერსიტეტის მსმენელთათვის სასახლეში ეწყობა როგორც ლექცია-საუბრები და კინოლექტორიუმები, ისე შეხვედრები ლიტერატურისა და ხელოვნების მოწინავე წარმომადგენლებთან, ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა მოეწყო ინგლისიდან ტრიუმფით დაბრუნებულ რუსთაველის თეატრის სახელოვან კოლექტივთან.

აღსანიშნავია ისიც, რომ სასახლეში მუშაობს სახალხო კინოსტუდია და ცნობილი ფოტოკლუბი „საქართველო", შექმნილია რადიოსაქმის, ავიამშენებელთა და გემთმშენებელთა კლუბები, ლირიკული სახელწოდებისა და შინაარსის (ამასთან ფრიად პრაქტიკული მნიშვნელობის) კლუბი „ცისფერი ფრინველი", სადაც მხატვრულ ქსოვას ეუფლებიან; პოპულარული და კავშირის მასშტაბით აღიარებულია ერთ-ერთი პირველი და უდიდესი „შრომის დიდების" მუზეუმი, სოციალისტური შეჯიბრების რესპუბლიკურ საბჭოსთან არსებული სოციალისტური შეჯიბრის რესპუბლიკური კაბინეტი, აქვეა ცენტრალიზებული ბიბლიოთეკა.

დამკვიდრდა შესანიშნავი ტრადიცია: მშობლიური სოფლისა და რაიონის მშრომელებთან გამოჩენილ ადამიანთა შეხვედრები — „სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ".

იწყობა თემატური საღამოები „პოეტი და მუსიკა", პოეზიის საღამოები.

სასახლე ფართოდ უღებს კარს რესპუბლიკისა თუ მოძმე ქვეყნებიდან ჩამოსულ თეატრალურ და საესტრადო კოლექტივებს. თვითონაც ხშირად მონაწილეობს სხვადასხვა ღონისძიებაში. სასახლის ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი „თბილისი" მიწვეულია „ოლიმპიადა"-80"-ის მონაწილე სპორტსმენთა კულტმომსახურებისათვის.

დიდი ყურადღება ეთმობა მხატვრულ თვითმოქმედებას. ამ მხრივ საყურადღებოა ახლახან გამართული სამეჯლისო ცეკვების მორიგი IV კონკურსი, რომელზეც გამოტანილი იყო ევროპისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ცეკვები (თუმცა აფიშაზე ეწერა, რომ ეს იყო თანამედროვე სამეჯლისო ცეკვების საქალაქთაშორისო საკლასიფიკაციო კონკურსი). კონკურსი მიზნად ისახავდა საკავშირო კონკურსზე წარსადგენი ახალგაზრდა მოცეკვავეების შერჩევასა და დაოსტატებას.

ამ კონკურსის უდიდეს ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან ერთხელ კიდევ დააყენა დღის წესრიგში ქართული სამეჯლისო ცეკვების შექმნის აუცილებლობა, გამოავლინა უკვე არსებული, კერძოდ, რესპუბლიკის დამსახურებული მოღვაწის თ. სანაძის მიერ შექმნილი ცეკვა „მზიური".

თუ გავითვალისწინებთ სამეჯლისო ცეკვებით თანამედროვე ახალგაზრდების საოცრად მზარდ გატაცებას, კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთება ეს ძნელი, მაგრამ საშური საქმე, რომელიც დიდ ყურადღებას მოითხოვს. თუმცა ხელაღებით ვერ ვიტყვით, რომ ეს არ აღელვებდით ქართველ ქორეოგრაფებს; იყო და არის ქართულ ნიადაგზე სამეჯლისო ცეკვების შექმნის ცდები (ეს ეხებათ ცნობილ ქორეოგრაფებს დ. ჯავრიშვილს, ა. თათარაშვილს, კ. მანჯგალაძეს). 1972 წლის კონკურსიც საუკეთესო ქართული სამეჯლისო ცეკვების გამოსავლენად მოეწყო, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო და კარგა ხანიც გავიდა მას შემდეგ. კარგი იქნებოდა, თუ მრავალი საინტერესო ღონისძიების მოთავენი — პროფკავშირთა კულტურის სასახლის მესვეურები, ამ საქმესაც ჩვეული შემოქმედებითი გატაცებით მიუდგებიან, გამოაცოცხლებენ ქორეოგრაფიის ამ ერთ-ერთ საჭირო ჟანრს.

ვრცელია კულტურის ამ დიდი კერის სამოქმედო ასპარეზი. დიდი ყურადღება ეთმობა შეხვედრებს მთის რაიონების მშრომელებთან, მეცხვარეებთან საგაზაფხულო სტუმრობას.

წლეულს არაერთი საინტერესო ღონისძიება მიეძღვნა და კვლავაც მიეძღვნება ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს დევიზით „ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს".

სასახლის მუშაკთა ჯგუფები ლენინური დღეების სათანადოდ ჩატარების მიზნით ადრევე გაემგზავრნენ რაიონული კულტდაწესებულებების მუშაკთა დასახმარებლად. უკვე ამთავითვე ემზადებიან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავისთვისაც, ასე რომ, პროფკავშირთა კულტურის სასახლეში გაცხოველებული შემოქმედებითი ცხოვრება დუღს.

**მ. მათიაშვილი.**

# საავტორო კონცერტი

□

## კომპოზიტორთა კავშირის პლენუმზე

**პლენუმის** ერთ-ერთი საღამო სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სახელმწიფო და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების ლაურეატის ალექსი მაჭავარიანის საავტორო კონცერტს დაეთმო.

საავტორო კონცერტის პირველივე ნომერი თავისებური სიურპრიზით აღინიშნა — მოვისმინეთ ა. მაჭავარიანის შემოქმედებისათვის მანამდე „უჩვეულო" ჟანრი — სიმებიანი კვარტეტი № 3. [illegible] ინტერესმა ხელოვნის შემოქმედებაში მხოლოდ 70-იან წლებში იჩინა თავი და მანაც ზედიზედ სამი კვარტეტი შექმნა.

ჩვენმა სახელოვანმა კვარტეტმა კ. ვარდელის, თ. ბათიაშვილის, ნ. ქვანიასა და ო. ჩუბინიშვილის შემადგენლობით ჩვეული არტისტული გზნებითა და შთაგონებით შეასრულა კომპოზიტორის ახალი ქმნილება.

კვარტეტი № 3 საინტერესოა არა მარტო წმინდა მუსიკალური, არამედ საშემსრულებლო თვალსაზრისითაც. მასში ავტორის საკვარტეტო წერის ოსტატობა და უტყუარი შემოქმედებითი ალღო ვლინდება.

კონცერტის პირველი განყოფილება დააგვირგვინა ხელოვნის ახალმა საგუნდო ქმნილებებმა: ქორალმა „შენ აქ ხარ" და „გორულმა პოემამ". ნაწარმოებთა ინტერპრეტატორებად მოგვევლინა თბილისის მ. ბალანჩივაძის სახელობის მესამე მუსიკალური სასწავლებლის გოგონათა ვოკალური ანსამბლი კ. კეჟერაშვილის ხელმძღვანელობით.

ქორალს „შენ აქ ხარ" საფუძვლად დაედო ი. აბაშიძის პოეტური ტექსტი ბრწყინვალე ლექსთა ციკლიდან „პალესტინა".

განსაკუთრებით გულთბილად მიიღო მსმენელმა „გორული პოემა". იგი, ჩვენი აზრით, არა მარტო ა. მაჭავარიანის შემოქმედების, არამედ 70-იანი წლების ქართული საგუნდო მუსიკის მნიშვნელოვანი მონაპოვარია.

და მაინც, საავტორო კონცერტის გვირგვინი ა. მაჭავარიანის „ქართული ფრესკები" იყო, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის, ჩვენი სახელოვანი ლექსო თორაძის შესრულებით რომ მოვისმინეთ.

**ე. ლონდარიძე,**
მუსიკათმცოდნე.

# შვიდნი — ორ ნაკრებში

**როგორც** საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ო. ჯებაშვილმა გვაცნობა, თბილისის დინამოელები გაწვეული არიან სსრ კავშირის ოლიმპიურ და ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებში. საბჭოთა ოლიმპიურ გუნდს 29 აპრილს შვეციაში ამ ქვეყნის ნაკრებთან ამხანაგური მატჩის გამართვა უწევს და ამასთან დაკავშირებით ჩვენი ქვეყნის მთავარ გუნდში მიწვეული არიან თბილისელები **ჩივაძე, სულაქველიძე და ჩელებაძე.** 30 აპრილს ოდესაში იუგოსლავიისა და სსრ კავშირის ახალგაზრდული გუნდების მატჩი გაიმართება. ახალგაზრდულ ნაკრებში თბილისელთაგან მიწვეული არიან **შენგელია და დარახველიძე.** თბილისის „დინამოს" საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ოდესაში ადგილობრივ „ჩერნომორეცთან" 2 მაისს უნდა გამართულიყო. იმის გამო, რომ დინამოელები ნაკრებ კოლექტივებში გაიწვიეს, ეს მატჩი გადატანილია 3 მაისისათვის. ამის მერე კიდევ ორი თბილისელი — **გაბელია და კოსტავა** საბჭოთა ოლიმპიურ გუნდს მიაშურებენ და მორიგი საერთაშორისო მატჩისათვის მზადებას შეუდგებიან.

## თბილისელთა წარმატება

**სევასტოპოლში** დამთავრდა პროფკავშირთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში. ამ ასპარეზობაში თავი ისახელეს თბილისელმა სპორტსმენებმაც. მრავალჭიდში თბილისელი მ. ხალილოვა მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა — 46,4 ქულა. იგი უძლიერესი იყო ლენტით ვარჯიშში (18,8), სახტუნელათი და რგოლებით ვარჯიშში კი მესამე ადგილები მოიპოვა (18,75 და 18,95). მანვე თანაქალაქელ ი. ქემჩიკიძესთან ერთად ბურთებით ვარჯიშში მეორე-მესამე ადგილები გაიყო (ორივემ 18,95-18,95 ქულა დააგროვა). როგორც ხედავთ, ხალილოვამ ხუთი მედალი მიიღო, რაც უთუოდ დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღია სსრ კავშირის ერთ-ერთ უძლიერეს სპორტსმენს, თბილისელ ი. გაბაშვილს.

## ოთხი ტურის შემდეგ

**გუშინ** გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეოთხე ტურის ბოლო მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „დინამო" და „ნეფთჩი". გაიმარჯვა „დინამომ" — 2:1.

მეოთხე ტურის შემდეგ გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" მ. | 3 | 1 | 0 | 6-3 | 7 |
| „სპარტაკი" | 2 | 1 | 1 | 6-2 | 5 |
| „დინამო" კ. | 2 | 1 | 1 | 7-4 | 5 |
| „შახტიორი" | 2 | 1 | 1 | 7-5 | 5 |
| „ზენიტი" | 2 | 1 | 1 | 4-4 | 5 |
| „დინამო" მნ. | 1 | 3 | 0 | 7-3 | 5 |
| „ლოკომოტივი" | 1 | 3 | 0 | 7-4 | 5 |
| „დინამო" თბ. | 1 | 3 | 0 | 6-3 | 5 |
| ასკ დ.-რ. | 1 | 3 | 0 | 5-4 | 5 |
| ცსკა | 2 | 0 | 2 | 5-7 | 4 |
| „არარატი" | 1 | 2 | 1 | 3-3 | 4 |
| „ყაირათი" | 1 | 2 | 1 | 5-6 | 4 |
| „ფახთაქორი" | 1 | 1 | 2 | 3-4 | 3 |
| „ტორპედო" | 1 | 1 | 2 | 2-4 | 3 |
| „ყუბანი" | 0 | 3 | 1 | 3-4 | 3 |
| „ჩერნომორეცი" | 0 | 2 | 2 | 1-4 | 2 |
| „ნეფთჩი" | 0 | 1 | 3 | 1-7 | 1 |
| „კარპატი" | 0 | 1 | 3 | 1-8 | 1 |



„ხატინის ზარები" ზ. დათუაშვილის ფოტო.

## [illegible]-პრეტენდენტთა მატჩებზე

### დონი-მილანოვაცი

**იუგოსლავიის** ამ ქალაქში მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალური მატჩის მეშვიდე პარტია ნანა იოსელიანსა (სსრ კავშირი) და ჟუჟა ვერეცის (უნგრეთი) შორის ყაიმით დამთავრდა. ახლა ანგარიშია 4:3 იოსელიანის სასარგებლოდ.

### მეხიკო

**მექსიკის** დედაქალაქში გათამაშდა ბორის სპასკისა (სსრ კავშირი) და ლაიოშ პორტიშის (უნგრეთი) მეოთხედფინალური მატჩის მეშვიდე პარტია. მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ. ანგარიშია 4:3 პორტიშის სასარგებლოდ.

## სატურნირო ორბიტა

**ფიგურული ციგურაობა.** ხარკოვში გათამაშდა საკავშირო ჩემპიონატის მედლების პირველი კომპლექტი. წყვილთა სრიალში ოქროს მედლები მოიპოვეს მოსკოველებმა მ. პესტოვამ და ს. ლეონოვიჩმა — 144,02 ქულა (ადგილების ჯამი — 9). ვერცხლის მედლები წილად ხვდათ ლენინგრადელებს ი. ვორობიოვასა და ი. ლისოვსკის — 141,76 (18), ბრინჯაოსი — მოსკოველებს ი. ვოლიანსკაიასა და ვ. სპირიდონოვს — 128,70 (28).

**წყალბურთი.** რუმინეთის ქალაქ კლუჟ-ნაპოკში გაიმართა რუმინეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების განმეორებითი ამხანაგური მატჩი. ამჯერად გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 9:5.

სოფიაში მიმდინარეობს ახალგაზრდული გუნდების საერთაშორისო ასპარეზობა. სსრ კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა პირველი ორი შეხვედრა მოიგო: ჰოლანდიელებთან — 12:9, რუმინელებთან — 9:3.

# ფრენა იყო ჩემი ოცნება

## იმ გმირულ დღეთა გახსენება




**მიყვარს** მშობლიური არანისი. იგი დუშეთის რაიონის ერთ-ერთი ყველაზე მაღალმთიანი სოფელია. არანისი არწივთა ბუდეების სამშობლოა. შევცქეროდი ფრინველთა მეფის ნავარდს და ვოცნებობდი, მეც მათებრ შემძლებოდა ლაჟვარდში ლაღად ფრენა. დიახ, ფრენის დიდმა წყურვილმა გამხადა მფრინავი.

განსაკუთრებით დამამახსოვრდა ის დღე, როდესაც პირველად მოვკარი თვალი თბილისიდან მომავალ თვითმფრინავს, რომელსაც ორჯონიკიძისაკენ აეღო გეზი. ვიცოდი, რომ ამ თვითმფრინავს მეზობელი სოფლის — ხორხის მკვიდრი არჩილ ხიტალიშვილი მართავდა. არაერთხელ შევხვედრივარ გამოცდილ მფრინავს და შევნატროდი მის ვაჟკაცობას.

დავამთავრე ჩვენი სოფლის შვიდწლიანი სკოლა. მშობლების რჩევით სწავლის გასაგრძელებლად დუშეთის პედაგოგიურ ტექნიკუმში შევედი. უხაროდა დედ-მამას, რომ მათი შვილი პედაგოგი გახდებოდა... მე კი კვლავ ლაჟვარდოვანი სივრცეების დაპყრობა მიზიდავდა, ფრენაზე ვოცნებობდი. ჩავაბარე თუ არა პირველი სემესტრის გამოცდები, მშობლებთან ჩავედი. მამას ძალზე გაუხარდა ჩემი ჩასვლა და მითხრა: — შვილო, ცოტაოდენი ფული დავაგროვე, სტუდენტი ხარ, მინდა უკეთ გეცვას, წადი თბილისში და რაც გჭირდება იყიდეო.

მეორე დღეს უკვე თბილისში ვიყავით, ვიცოდი, რომ აქ ნამდვილად იყო საავიაციო სასწავლებელი, სადაც საფრენოსნო საქმეს სწავლობდნენ. კითხვა-კითხვით მოვძებნე აეროკლუბი და მორიდებით შევაღე მისი კარი. დერეფანში არავინ ჩანდა, უნებურად ერთი კარის წინ გავჩერდი. მალე კარი გაიღო, ოთახიდან ახალგაზრდა, ახოვანი კაცი გამოვიდა, დამინახა თუ არა, მკითხა, ჩვენთან ხომ არა გაქვთ საქმეო? იგი კომკავშირის კომიტეტის მდივანი გიორგი კირვალიძე აღმოჩნდა. სახეზე წამოვენთე, გიორგი მიხვდა, რომ მე რაღაც სათხოვარი მქონდა და კაბინეტში მიმიპატიჟა. როცა გული გადავუშალე, ხელი ჩამკიდა და პირდაპირ აეროკლუბის უფროსთან კონსტანტინე ფრუიძესთან შემიყვანა. კლუბის უფროსმა გამიღიმა და ყურადღებით გამომკითხა ვინაობა.

— კეთილი, რაკი ასეთი დიდი სურვილი გაქვს, დარჩი ჩვენთან, გასწავლით ფრენას, — მითხრა კ. ფრუიძემ.

აეროკლუბის უფროსი კ. ფრუიძე სახელოვანი მფრინავ-გამანადგურებელი, წოდებით მაიორი იყო. ყოველი ჩვენგანი ცდილობდა ყოფილიყო ისეთი შეუპოვარი და მამაცი მფრინავი, როგორიც იგი იყო.

დადგა ის დღეც, როცა პირველად უნდა აფრენილიყავი ცაში დამოუკიდებლად. ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ მისი გადმოცემა ძნელია, მეგონა, მე კი არ ვმართავდი თვითმფრინავს, არამედ თვითონ მქონდა ფრთები და ვსერავდი სივრცეს. პირველი გამოცდა წარმატებით ჩავაბარე.

1940 წლის გაზაფხულზე დავამთავრე სწავლა თბილისის სასწავლო აეროკლუბში, რის შემდეგაც საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა კომკავშირული საგზურით სამხედრო-საავიაციო სასწავლებელში გამგზავნა. ერთი წლის შემდეგ ეს სასწავლებელიც დავამთავრე და მფრინავ-მოიერიშის სპეციალობა მივიღე.

როდესაც სამშობლოს გერმანელი ფაშისტები ვერაგულად დაესხნენ თავს, 17 წლის ჭაბუკი პოლკთან ერთად ჩავები ბრძოლაში. ეს მოხდა მოლდავეთის ტერიტორიაზე, სადაც პირველი საბრძოლო ნათლობა მივიღე. ომის მთელ მანძილზე მრავალი ბრძოლა გავუმართე მტრის ესკადრილიებს უკრაინის ტერიტორიაზე — კიროვოგრადის თავზე, ზნამენკაში, დნეპრის ნაპირებზე, კრემენჩუგში, ლუბნაში, მირგოროდსა და პოლტავაში. მრავალჯერ დამიშენია ცეცხლი მტრის სამხედრო ტრანსპორტისათვის, საბრძოლო პოზიციებისთვის და არაერთხელ გამოვსულვარ გამარჯვებული.

ომის მთელ მანძილზე 203 საბრძოლო გაფრენა განვახორციელე, 14-ჯერ ჩამომაგდეს გერმანელების საზენიტო არტილერიამ და ავიაციამ, მაგრამ ვერაფერი დამაკლეს. ომში სერჟანტად ჩავები, დავამთავრე ავიაციის მაიორის წოდებით. 4 წლის მანძილზე ვიბრძოდი სამხრეთის, სამხრეთ-დასავლეთის, დასავლეთის, ჩრდილო-დასავლეთის, სტალინგრადის, ლენინგრადის, ბალტიისპირეთის ფრონტებზე. ეს ბრძოლები დაწვრილებით აქვს აღწერილი ჩემს თანამებრძოლს საშა კარპოვს თავის მემუარებში. აქ მინდა გიამბოთ მხოლოდ ერთი ეპიზოდი:

ჩვენი პოლკი ხარკოვთან, გრანოვის აეროდრომთან იდგა. დაზვერვამ სარდლობას აცნობა, რომ პოლტავის აეროდრომზე გერმანიის საჰაერო ძალების 200-ზე მეტი თვითმფრინავი იყო. 1941 წლის 14 ოქტომბერს დილის 7 საათზე კაპიტანი ვასილ ფედიანინი და მე სასწრაფოდ გაგვგზავნეს დავალების შესასრულებლად. მალე მტრის აეროდრომის თავზე ვიყავით და გერმანელებს ბომბებს ვუშენდით, მაგრამ ამასთან ვხედავდი, თუ როგორ მომიახლოვდა სამი მესერშმიდტი — სიგნალი მომცეს დაუყოვნებლივ დამესვა თვითმფრინავი გერმანელთა აეროდრომზე. მ. ფედიანინი წინ მიფრინავდა. გადავწყვიტე გერმანელთა ყურადღება ჩამომეშორებინა მისთვის, თვითმფრინავი მარჯვნივ მოვაბრუნე და ძირს დავეშვი, ამასთან ვიყენებდი სხვადასხვა მანევრს, მინდოდა მიმეღწია ფრონტის ხაზამდე, რომელიც 80 კილომეტრით იყო დაშორებული. გერმანელებმა სროლა აატეხეს და პოლტავიდან 50 კილომეტრზე სოფელ პირველი მიხაილოვკის გვერდით ჩამომაგდეს, სახეზე მძიმე ჭრილობა მივიღე.

როგორც კი გამანადგურებლები ჩამოგვცილდა, თვითმფრინავიდან გამოვედი. ცალი თვალით ვერაფერს ვხედავდი, მეორეთი კი ძლივს ვარჩევდი საგნებს.. მოულოდნელად ჩემთან ბავშვები გაჩნდნენ და მინდვრად მომუშავე კოლმეურნეებთან წამიყვანეს, აქ მათ გულთბილად მიმიღეს, სასწრაფოდ სოფელში წამიყვანეს და სარდაფში დამმალეს.

განსაკუთრებით დამეხმარა ორი ოჯახი: სავა მალცევმა, ელენე ანუფრიევის ასულმა და ეკატერინე მიტროფანეს ასულმა შლიაპკინებმა თავის ქალიშვილთან ნატაშასთან ერთად ყველაფერი იღონეს ჩემი გამოჯანსაღებისათვის.

იმ სოფელში, სადაც მე ორი კვირა დავყავი, ყველამ იცოდა, რომ შლიაპკინებთან და მალცევებთან საბჭოთა მფრინავი იმალებოდა, მაგრამ არავის არ გავუცივარ. როცა მოვჯობინდი და თავი კარგად ვიგრძენი, მადლობა გადავუხადე ჩემს მხსნელებს დახმარებისათვის და ფრონტის ხაზისაკენ გავეშურე. დიდი წვალებისა და გაჭირვების შემდეგ, ნოემბრის დამდეგს სოფელ იაკოვლევთან ფრონტის ხაზზე გადავედი, სადაც ჩვენი პოლკი იდგა.

ომი დამთავრდა, გამარჯვება ვიზეიმეთ, არასოდეს არ მავიწყდებოდა ადამიანები, რომლებმაც სიკვდილს გადამარჩინეს. 1961 წელს საგანგებოდ ჩავედი სოფელ მიხაილოვკაში, აქ შევხვდი საყვარელ დედობილებს. ყველას ძალზე გაუხარდა ჩემი ჩასვლა, მაგრამ მეტად გულსატკენი იყო, რომ ცოცხლები აღარ დამხვდნენ სავა მალცევი და ნატაშა შლიაპკინა.

დედობილები თბილისში მოვიპატიჟე, მათ თხოვნა შემისრულეს, სტუმრად მეწვივნენ. 1965 წლის 23 აპრილს „იზვესტიაში" დაიბეჭდა სტატია — „დედა", რომელშიც მოთხრობილი იყო ჩემი შეხვედრა ეკატერინე მიტროფანეს ასულთან და ელენე ანუფრიევის ასულთან. ჩვენ ახლაც გვაქვს ერთმანეთთან მიმოწერა. დედობილს ელენეს თითქმის აღარავინ დარჩა, თვითონ 86 წლის მოხუცია და ცხოვრობს პოლტავის ოლქის ქალაქ კობელიაკიში. ყოველ წელს ჩავდივარ ამ ქალაქში მის სანახავად და ყურადღებას არ ვაკლებ.

ადგილობრივი პიონერებისაგან წერილი მივიღე, მწერდნენ, რომ ჩვენ, პოლტავის ოლქის ქალაქ კობელიაკის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები ვოცნებობდით შევხვედროდით საბჭოთა კავშირის გმირის დედობილს ელენე ანუფრიევის ასულს. გავიგეთ, რომ თქვენი დედობილი ცხოვრობს ჩვენი ქალაქიდან 5 კილომეტრის მოშორებით. 8 მარტს მასწავლებელთან კ. ბობრიშჩევთან ერთად წავედით და ვინახულეთ ელენე ანუფრიევის ასული და მივულოცეთ ქალთა დღესასწაული. მან ბევრი რამ გვიამბო თქვენი გმირობის შესახებ და დიდად ამაყობს თქვენით, ამიერიდან ჩვენ ხშირად ვნახავთ მას. პიონერები მთხოვენ, რომ მუზეუმისათვის გავუგზავნო ჩემი სურათი, აგრეთვე წიგნი საქართველოს გმირებზე. მოსწავლეთა ასეთი ყურადღება საქართველოსადმი მეამაყება. ეს ჩვენი ხალხის პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის ბრწყინვალე ნიმუშია.

იმედი მაქვს, ჩვენი პიონერები, კომკავშირული ახალგაზრდობა მეტი სიყვარულით, თავდადებით ისწავლიან და იშრომებენ, რათა დაიცვან და ამრავლონ ყოველივე ის, რისთვისაც ჩვენ ვიბრძოდით.

**ზ. ხიტალიშვილი,**
საბჭოთა კავშირის გმირი, ავიაციის პოლკოვნიკი.

# ი. კალანდაძე

გარდაიცვალა რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, ძველი ბოლშევიკი, სკკპ წევრი 1918 წლიდან ივანე ილარიონის ძე კალანდაძე.

ი. ი. კალანდაძე დაიბადა 1900 წელს ჩოხატაურის რაიონის დაბა ხიდისთავში ღარიბი გლეხის ოჯახში. სოფლის ორკლასიანი სკოლის დამთავრების შემდეგ 1914 წლიდან მუშაობდა [illegible] რკინიგზის სადგურში, იყო მოჯამაგირე, მტვირთავი მუშა.

სწორედ აქ მიიღო მან პირველი რევოლუციური ნათლობა. 1918 წელს ი. კალანდაძე მშობლიურ რაიონში ბრუნდება და იმავე წელს შედის კომუნისტური პარტიის რიგებში, აქტიურად მონაწილეობს მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში, რისთვისაც იგი რამდენჯერმე დააპატიმრეს, 1920 წელს კი სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს. მაგრამ ი. კალანდაძემ მოახერხა გაქცევა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არალეგალურად ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. 1924 წლიდან იგი უკვე დაბა ხიდისთავის [illegible] გამგე და პარტრაიკომის საქმეთა მმართველია. შემდეგ პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტში გადაჰყავთ, სადაც 1929 წლამდე მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. 1929 წელს საქართველოს სატყეო ტრესტის ფოთის განყოფილების მმართველის მოადგილედ ნიშნავენ, ხოლო 1931 წლიდან ახალციხის სატყეო მეურნეობის უფროსია. იმავე წელს იგი სამუშაოდ გადაჰყავთ თბილისში „ბალნეოსანკავშირის" განყოფილების უფროსად. შემდეგ 1941 წლამდე ხეტყის სამინისტროს სისტემაში მუშაობდა. დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე ი. კალანდაძე სამშობლოს დამცველთა რიგებშია, ომის დამთავრების შემდეგ 1946 წლიდან 1964 წლამდე იგი თბილისში ხე-ტყისა და ავეჯის წარმოების დარგში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა.

შრომითი საქმიანობის სხვადასხვა პერიოდში, ი. კალანდაძე არჩეული იყო ფოთისა და თბილისის რაიონული კომიტეტების წევრად, დეპუტატად, იგი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. იყო ლენინის რაიონის ძველ ბოლშევიკთა საბჭოს წევრი.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ი. კალანდაძის ღვაწლი. იგი დაჯილდოებული იყო „წითელი ვარსკვლავის" ორდენით, მედლებით და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ღვაწლმოსილი მოქალაქის, სპეტაკი ბოლშევიკის ხსოვნა მარად იცოცხლებს იმათ გულში, ვინც მას იცნობდა.

**პარტიის ლენინის რაიკომთან არსებული ვეტერანთა საბჭო.**

# ასი წლის პოეტი

**ამ დღეებში** ა. ხორავას სახელობის მსახიობის სახლში გაიმართა კოტე მაყაშვილის დაბადების მეასე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართველი მწერლები და ხელოვნების მუშაკები.

ასი წლის პოეტზე ისე საუბრობდნენ, როგორც თანამედროვეზე; ზოგს დღესაც ცხადად ახსოვს წარმოსადეგი, მოხდენილი და სიტყვამდიდარი მგოსანი, ახსოვთ მისი ლამაზი ლექსები, უმეტესობა კი, რა თქმა უნდა, გამოცემით და უაღრესად გულთბილი მოგონებებით იცნობს მას.

მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნის, მწერალ გიორგი ციციშვილის მოხსენების წყალობით დამსწრეთა წინაშე თითქოს გაცოცხლდა ნახევარი საუკუნის წინათ წასული შემოქმედი, ქართული კულტურის დიდი მოამაგე, სანაქებო მამულიშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პირველი თავმჯდომარე კოტე მაყაშვილი, პოეტი, რომლის სახელსაც უკავშირებენ ქართულ პოეზიაში სონეტისა და რომანსის დამკვიდრებას. — „იცი რა, მიძირა სიყვარულის ზღვამ, მაგრამ რა? — მომპარა შენი თავი სხვამ!" — ეს სტრიქონები ბავშვობიდანვე ამეკვიატაო, თქვა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, რეჟისორმა დ. ალექსიძემ, რომელმაც გაიხსენა დიდის — პოეტ მარიჯანის მოგონებანი კოტე მაყაშვილზე.

მსახიობებმა თ. ხაინდრავამ, გ. სიხარულიძემ, ზ. კვერენჩხილაძემ, გ. ხურცილავამ, მ. ეგუტიამ წაიკითხეს კოტე მაყაშვილის ლექსები, წერილები, ვაჟმა თამარ ჭავჭავაძის ლაურეატის მონოლოგიც, — „ცხვრის წყარო" კოტე მარჯანიშვილმა ხომ კოტე მაყაშვილს ათარგმნინა.

...ერგასის თავზეც, როცა პოეტმა ის-ის იყო შეიგრძნო თავდაღმართის სამძიმოება, დაწერა ლექსი — ანდერძი, რომელშიც საოცარი ძალით აისახა მისი რაინდული ბუნება:

„ტირილი, სიტყვები, ტრაური
აკრძალეთ,
შეწყვიტეთ კამათი ჩემს მაღალ
მიზნებზე.
ამართვით გული და დასჭერით..
დაკრძალეთ
სამშობლოს შუაგულ, ყველა
მის მიჯნებზე.

დამწვით მე კოცონზე ზვიად
მთათ არეში,
დე-ძვამლი ავარდეს
ვარსკვლავთა რიდემდე!
აიღეთ ფერფლი და ჩემს
ტანჯულ მხარეში
ის მიმოაბნიეთ კიდითი
კიდემდე".

ამას ითხოვდა პოეტი, რომ სამშობლო შეიგრძნო მთლიანად....

...ასი წლისა შესრულდა პოეტი, მაგრამ იგი ჩვენი თანამედროვე და ფიქრის თანაზიარია.

საღამოს ესწრებოდნენ მისი მემკვიდრეებიც, მათ შორის მხატვარი შალვა მაყაშვილი და პოეტი თამარ ერისთავი.

**ნ. ღვინეფაძე.**

რედაქტორი
გ. გედინეიშვილი

## ტელევიზია

### 19 აპრილი

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — შევისწავლოთ ქართული ენა (ფ.), 10.35 — „თქვენთვის, მშობლებო!" „ულიანოვების ოჯახი". გადაცემა მეორე (მ.), 11.05 — სოჭის ტელევიზიის პროგრამა, 12.05 — „თბილისი და თბილისელები". სატელევიზიო ჟურნალი (ფ.), 12.35 — ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის. „კინოლენინიანა", სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ოთხი დღე ხალილაში". 13.10 — „ხუთწლედი — წელი დამამთავრებელი". სატელევიზიო პროგრამა, 13.45 — „შაბათობის დღიური" (მ.). 13.55 — კინოეპოპეა „დიდი სამამულო". ფილმი მეიქვსე. „ომი არქტიკაში" (ფ.), 14.45 — „მუსიკა ლენინის ცხოვრებაში", 15.25 — მულტიპლიკაციური ფილმი, 15.35 — „შაბათობის დღიური", 15.45 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.35 — „შაბათობის დღიური" (მ.), 16.45 — „ცხოველთა სამყაროში" (მ.), 17.45 — „ვაშა, ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას!" თიანეთის რაიონი (ფ.), 18.25 — „საბჭოური მეცნიერების დღე" (ფ.). 19.10 — „მეცხრე სტუდია" (მ.), 20.10 — დოკუმენტური ფილმი, 20.20 — „მუსიკალური ფოსტა" (ფ.), 21.00 — „მოამბე" (ფ.), 21.30 — ქართული სატელევიზიო მუსიკალური ფილმი „ჩვენი უბანი" (პრემიერა. ფ.), 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — „ჩვენ ლენინური საუკუნის ადამიანები ვართ!" ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. ეძღვნება საკავშირო კომუნისტურ შაბათობას. (მ.),

**მეორე პროგრამით:** 16.15 — ბავშვებისათვის გასართობი კინოპროგრამა, 17.15 — „მოთხრობები ლენინზე" (განმეორებით), 17.45 — დოკუმენტური ფილმები. 18.15 — კონცერტი, 19.00 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.20 — მხატვრული ფილმი „პირველი ხელმოწერის უფლება" (ფ.).

## თეატრი

### 19 აპრილი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **ნაბარძევი** (დასაწყ. 6 ს. 30 წ.); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **შთამომავლობა;** აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ნოველები.**

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 10116 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში. ხოშარაულის 29

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20